ქუთაისის
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“

რექტორის 22/04/2019წ. №321 ბრძანებით

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი

ლელა ქელბაქიანი:

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ სტუდენტად მიღების ინსტრუქცია

ქუთაისი, 2019 წელი.

სარჩევი

თავი I. ზოგადი დებულებები 3

თავი II. უნივერსიტეტის სტუდენტად მიღების პირობები 4

თავი III. უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტად მიღებაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების გამოცემის წინაპირობა 10

თავი IV. სტუდენტთა ელექტრონული რეესტრი - "Unik follow". ბაკალავრიატის, სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურის და დოქტორანტურის პროგრამებით მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა 11

თავი V. უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტად ერთიანი ეროვნული გამოცდებით მიღების გამოცხადება 15

თავი VI. უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტად სამაგისტრო გამოცდებით მიღების გამოცხადება 18

თავი VII. უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტად სადოქტორო გამოცდით მიღების გამოცხადება 23

თავი VIII. უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამების სტუდენტებად საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოსვლის გზით მიღების გამოცხადება 26

თავი IX. უნივერსიტეტის სტუდენტად მიღებისათვის საჭირო საბუთების წარმოდგენისა და მიღების წესი 28

თავი X. უცხოელ სტუდენტთა უნივერისტეტში ჩარიცხვის წესი. 35

თავი XI. უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტად მიღების წესი 41

თავი XII. უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტად მიღების წესი 52

თავი XIII. უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტად მიღების წესი ... 65

თავი XIV. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღწეული სწავლის შედეგების უნივერსიტეტის პროგრამასთან თავსებადობის დადგენის წესი 79

თავი I. ზოგადი დებულებები

1.1. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტად მიღების ინსტრუქცია (შემდგომში - „ინსტრუქცია“) ადგენს ფიზიკური პირის შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტად მიღების წესსა და პირობებს, განსაზღვრავს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტად მიღების პროცედურებს, პროცედურების განხორციელების ვადებსა და პასუხისმგებელ პირებს.

1.2. ინსტრუქცია ადგენს სტუდენტად მიღების წესსა და პირობებს საქართველოს განათლების,მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის შემდეგი აქტების საფუძველზე:

- „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ 18.02.2011 №19/ნ ბრძანება;
- „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ 22.04.2009 №227 ბრძანება;
- „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 04.02.2010 №10/ნ ბრძანება;
- „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ 01.12.2009 №1067 ბრძანება;
- „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ 29.13.2011 №224/ნ ბრძანება;
- „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ 01.10.2010 №98/ნ ბრძანება.

1.3. წინამდებარე ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აკადემიური საბჭო - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო;

ბ) ბაკალავრიატი - აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის, მთავრდება ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით;

გ) დოქტორანტურა - აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით;

დ) მაგისტრატურა - აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე - პირის მომზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის, მთავრდება მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით;

ე) პროგრამა - აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა;

ვ) სამედიცინო განათლების პროგრამა – ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მთავრდება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. დიპლომირებული მედიკოსის 360-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან;

ზ) რექტორი - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი;

თ) სტუდენტი - ფიზიკური პირი, რომელიც სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით;

ი) უნივერსიტეტი - შპს ქუთაისის უნივერსიტეტი;

კ) ფაკულტეტი - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ფაკულტეტი.

თავი II. უნივერსიტეტის სტუდენტად მიღების პირობები

2.1. უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამით სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების

დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან კანონმდებლობით მასთან გათანაბრებულ პირს.

2.2. პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და სწავლის გაგრძელებას აპირებს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ან სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამით, არის აბიტურიენტი.

2.3. უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამით სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის/ სტომატოლოგის/ვეტერინარის, მაგისტრის, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ან კანონმდებლობით მასთან გათანაბრებულ პირს.

2.4. აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის, მაგისტრის ან დოქტორის დიპლომის მქონე ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელიც აპირებს სწავლის გაგრძელებას უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით, არის მაგისტრანტობის კანდიდატი.

2.5. უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამით სწავლის უფლება აქვს მაგისტრის, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ან კანონმდებლობით მასთან გათანაბრებულ პირს.

2.6. აკადემიური უმაღლესი განათლების მაგისტრის ან დოქტორის დიპლომის მქონე ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელიც აპირებს სწავლის გაგრძელებას უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამით, არის დოქტორანტობის კანდიდატი.

2.7. უნივერსიტეტის სტუდენტად პირი მიიღება რექტორის ბრძანებით მისი ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის რომელიმე ერთ პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე.

2.8. უნივერსიტეტის სტუდენტად მიიღება:

ა) ფიზიკური პირი - უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი მაგისტრატურის ან დოქტორანტურის პროგრამის პირველი სემესტრის სტუდენტად ჩარიცხვის გზით;

ბ) სტუდენტი - საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის გზით ან საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის სტატუსშეჩერებული პირი - უნივერსიტეტის სტუდენტად მიღების (მობილობის) გზით;

გ) ფიზიკური პირი, რომელიც არის ან იყო უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი;

დ) საქართველოს მოქალაქე, რომელმაც უმაღლესი განათლება მიიღო ან იღებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე 1989 წლის შემდეგ.

2.9. ამ თავის 2.8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გზით მიიღება:

ა) უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტად:

ა.ა) სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შედგენილი და უნივერსიტეტისათვის ოფიციალურად მოწოდებული კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს განათლების,მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 18.02.2011 №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით“ - ფიზიკური პირი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები;

ა.ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე:

- უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელმაც უცხო ქვეყანაში მიიღო სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
- საქართველოს მოქალაქე, რომელმაც უცხო ქვეყანაში მიიღო სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლა უცხო ქვეყანაში;

ბ) უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტად:

ბ.ა) სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული საერთო სამაგისტრო გამოცდისა და უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სამაგისტრო გამოცდის შედეგების მიხედვით, საქართველოს განათლების,მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 22.04.2009 №227 ბრძანებით დამტკიცებული „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების“ შესაბამისად შედგენილი სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე - ფიზიკური პირი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ეს გამოცდები;

ბ.ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, საერთო სამაგისტრო გამოცდისა და უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე:

- პირი, რომელმაც უცხო ქვეყანაში მიიღო აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის, მაგისტრის ან დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი ან მათთან გათანაბრებული დოკუმენტი;
- პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის, მაგისტრის, დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, თუ იგი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული იყო ამ პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით ან ამ თავის 2.11 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით;

ბ.გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე, მხოლოდ უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სამაგისტრო გამოცდის შედეგით - უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 2005 წლის 10 იანვრამდე და აქვს საქართველოში გაცემული, სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტად, უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სადოქტორო გამოცდის შედეგის მიხედვით შედგენილი სადოქტორო გამოცდის რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე - პირი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა სადოქტორო გამოცდა.

2.10. ამ თავის 2.8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გზით მიიღება:

ა) უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტად:

ა.ა) საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტი, ამ დაწესებულებაში, სულ ცოტა, ერთწლიანი სწავლის შემდეგ;

ა.ბ) პირი, რომელიც იყო საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტი, შეჩერებული აქვს, მაგრამ არ აქვს შეწყვეტილი სტუდენტის სტატუსი და, საქართველოს კანონმდებლობით, აქვს მობილობის უფლება;

ბ) უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტად:

ბ.ა) საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტი, ამ დაწესებულებაში, სულ ცოტა, ერთწლიანი სწავლის შემდეგ;

ბ.ბ) პირი, რომელიც იყო საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტი, შეჩერებული აქვს, მაგრამ არ აქვს შეწყვეტილი სტუდენტის სტატუსი და, საქართველოს კანონმდებლობით, აქვს მობილობის უფლება;

გ) უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტად:

გ.ა) საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტი, ამ დაწესებულებაში, სულ ცოტა, ერთწლიანი სწავლის შემდეგ;

გ.ბ) პირი, რომელიც იყო საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტი, შეჩერებული აქვს, მაგრამ არ აქვს შეწყვეტილი სტუდენტის სტატუსი და, საქართველოს კანონმდებლობით, აქვს მობილობის უფლება.

2.11. ამ თავის 2.8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი მიიღება:

ა) უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტად, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე:

- უცხო ქვეყნის მოქალაქე (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისა), რომელიც სწავლობს ან სწავლობდა უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ, ამავე ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და სწავლის შედეგად მოპოვებული აქვს კრედიტები ან კვალიფიკაცია;
- საქართველოს მოქალაქე (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისა), რომელიც სწავლობს ან სწავლობდა უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ, ამავე ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და სწავლის შედეგად მოპოვებული აქვს კრედიტები ან კვალიფიკაცია, თუ იგი სწავლის პერიოდში, ერთ-ერთ სემესტრში მაინც, სულ ცოტა 75 დღის განმავლობაში ცხოვრობდა ამ ქვეყანაში;

ბ) უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, საერთო სამაგისტრო გამოცდისა და უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე:

- უცხო ქვეყნის მოქალაქე (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისა), რომელიც სწავლობს ან სწავლობდა მაგისტრატურის პროგრამით უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ, ამავე ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და სწავლის შედეგად მოპოვებული აქვს კრედიტები ან კვალიფიკაცია;
- საქართველოს მოქალაქე (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისა), რომელიც სწავლობს ან სწავლობდა მაგისტრატურის პროგრამით უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ, ამავე ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და სწავლის შედეგად მოპოვებული აქვს კრედიტები ან კვალიფიკაცია, თუ იგი სწავლის პერიოდში, ერთ-ერთ სემესტრში მაინც, სულ ცოტა 75 დღის განმავლობაში ცხოვრობდა ამ ქვეყანაში;

გ) უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტად, უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სადოქტორო გამოცდის ჩაბარების გარეშე - თუ იგი სწავლობს ან სწავლობდა უცხო ქვეყანაში, ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის პროგრამით (გარდა დოქტორანტურის ერთობლივი პროგრამისა) და სწავლის შედეგად მიღებული აქვს კრედიტები ან კვალიფიკაცია.

2.12. ამ თავის 2.8 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქართველოს მოქალაქე მიიღება უნივერსიტეტის ბაკალავრიატის პროგრამის სტუდენტად ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე.

2.13. 2.11. პუნქტის ‘‘ბ‘‘ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში".

თავი III. უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტად მიღებაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების გამოცემის წინაპირობა

3.1. უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი ან მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტად ამ ინსტრუქციის 2.9 პუნქტის „ა.ბ“, „ბ.ბ“ ან „ბ.გ“ ქვეპუნქტის საფუძვლით მისაღებად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება გამოიცემა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 28.12.2011 №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების / მაგისტრანტობის კანდიდატების / სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ შესაბამისად.

3.2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ამ თავის 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოსაცემად აბიტურიენტმა ან მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა მიიღოს უნივერსიტეტის რექტორის წერილობითი თანხმობა სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე მისი მიღების შესაძლებლობის თაობაზე. თანხმობის წერილში მიეთითება აბიტურიენტის/ მაგისტრანტობის კანდიდატის სახელი, გვარი და აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება.

3.3. თანხმობის წერილის პროექტს, რექტორის დავალებით, ადგენს სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური. თანხმობის წერილი გაიცემა, თუ თანხმობის მოთხოვნის დღეს უნივერსიტეტში არსებობს ვაკანტური ადგილი სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში.

3.4. რექტორის წერილობითი თანხმობის დამოწმებულ ასლს, ხელმოწერისთანავე, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური გადასცემს სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურს.

3.5. თუ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ამ თავის 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით უნივერსიტეტის სტუდენტად მიღებულ უნდა იქნეს პირი, რომელიც სწავლობს ან სწავლობდა უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი ან მაგისტრატურის (მათთან გათნაბრებული) პროგრამით, ბრძანების გამოცემამდე სსიპ განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნულმა ცენტრმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უნდა გადაუგზავნოს ამ პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების დოკუმენტი, რისთვისაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მომართავს უნივერსიტეტს.

3.6. უნივერსიტეტი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ამ თავის 3.5 პუნქტით გათვალისწინებული მიმართვის საფუძველზე, 10 დღის ვადაში ადგენს უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამასთან პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში სწავლის მიღწეული შედეგების თავსებადობას და ამზადებს დასკვნას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ ამ ინსტრუქციის XIII თავით დადგენილი წესით.

3.7. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ამ მუხლის 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ ბრძანების მიღებისთანავე მის დამოწმებულ ასლს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური გადასცემს სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურს.

თავი IV. სტუდენტთა ელექტრონული რეესტრი - "UNIK FOLLOW". ბაკალავრიატის, სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურის და დოქტორანტურის პროგრამებით მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა

4.1. იმ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რომლებიც შეიძლება, ერთდროულად სწავლობდნენ უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი განათლების ყველა პროგრამით, განსაზღვრულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ.

4.2. სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური აწარმოებს სტუდენტთა ელექტრონულ რეესტრს - "Unik follow", აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. რეესტრში შეიტანება:

ა) ბაკალავრიატის, სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის თითოეულ პროგრამაზე რიცხული სტუდენტის (იმათ გარდა, რომლებსაც შეჩერებული ან შეწყვეტილი აქვთ სტუდენტის სტატუსი შპს ქუთაისის

უნივერსიტეტის დებულების პირობებით) პერსონალური მონაცემები, პროგრამით სწავლის მიმდინარე სემეტრის ნომერი და რეესტრის შევსების დღისათვის:

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტუდენტთა რაოდენობა ბაკალავრიატის, სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის თითოეულ პროგრამაზე;

გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტუდენტთა რაოდენობა ბაკალავრიატის ყველა და სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიან პროგრამაზე;

დ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტუდენტთა რაოდენობა მაგისტრატურის ყველა პროგრამაზე;

ე) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტუდენტთა რაოდენობა დოქტორანტურის ყველა პროგრამაზე;

ვ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტუდენტთა რაოდენობა ბაკალავრიატის, სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის თითოეულ პროგრამაზე;

ზ) ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამების იმ სტუდენტების პერსონალური მონაცემები, რომლებსაც შეუჩერდათ სტუდენტის სტატუსი, სტატუსის შეჩერების სემესტრის ნომერი და რეესტრის შევსების დღისათვის ასეთი სტუდენტების რაოდენობები ამ პუნქტის „ბ“-„ვ“ ქვეპუნქტების მიხედვით;

თ) ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამების იმ სტუდენტების პერსონალური მონაცემები, რომლებსაც შეუწყდათ სტუდენტის სტატუსი, სტატუსის შეწყვეტის სემეტრის ნომერი და რეესტრის შევსების დღისათვის ასეთი სტუდენტების რაოდენობები ამ პუნქტის „ბ“-„ვ“ ქვეპუნქტების მიხედვით;

ი) იმ პირთა პერსონალური მონაცემები ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი, და მაგისტრატურის თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, რომლებზეც გაცემულია უნივერსიტეტის რექტორის ამ ინსტრუქციის III თავით გათვალისწინებული თანხმობის წერილი, ამ პირთა სასწავლო პროცესში სავარაუდო ჩართვის სემეტრის ნომერი და რეესტრის შევსების დღისათვის ასეთ პირთა რაოდენობები ამ პუნქტის „ბ“-„ვ“ ქვეპუნქტების მიხედვით.

4.3. ამ თავის 4.2 პუნქტის მიზნებისათვის პირის სტუდენტთა ელექტრონულ რეესტრში - “Unik follow” შესატანი პერსონალური მონაცემებია:

ა) გვარი, სახელი;

ბ) მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტში ან ბინადრობის მოწმობაში მითითებული პირის საიდენტიფიკაციო ნომერი;

გ) რექტორის იმ ბრძანების ნომერი და გამოცემის თარიღი, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტად;

დ) რექტორის იმ ბრძანების ნომერი და გამოცემის თარიღი, რომლის საფუძველზეც პირს შეუჩერდა/შეუწყდა უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი;

ე) რექტორის ამ ინსტრუქციის III თავით გათვალისწინებული თანხმობის წერილის სარეგისტრაციო ნომერი და გაცემის თარიღი;

ვ) თუ პირის სტუდენტად მიღების საფუძველია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება, ამ ბრძანების ნომერი და თარიღი;

ზ) სწავლის წლიურად გადასახდელი საფასურის ოდენობა;

თ) სწავლის წლიური საფასურის მიმდინარე გადასახდელი ოდენობა და გადახდის ზღვრული თარიღი;

ი) სწავლის წლიური საფასურის დროულად გადაუხდელი ოდენობა (დავალიანება).

4.4. ელექტრონულ რეესტრის - "Unik follow" ჩანაწერები განახლდება:

ა) აკადემიური წლის ყოველი თვის 25 რიცხვში და მისი მომდევნო თვის 5 რიცხვში ან, თუ თვის ეს რიცხვი დასვენების ან უქმე დღეა, მის მომდევნო სამუშაო დღეს;

ბ) აკადემიური წლის ყოველი სემეტრის დამთავრების შემდეგ, არდადეგების პირველ კვირის ბოლო სამუშაო დღეს;

გ) რექტორის მიერ ამ ინსტრუქციის III თავით გათვალისწინებული თანხმობის წერილის გაცემის შემთხვევაში - თანხმობის წერილის გაცემის ან მომდევნო სამუშაო დღეს;

დ) რექტორის ან ფაკულტეტის დეკანის მიერ ისეთი ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, რომელიც სტუდენტთა ელექტრონულ რეესტრში - "Unik follow" ახალი ჩანაწერის ან არსებული ჩანაწერის ცვლილების შეტანის საფუძველია - ბრძანების გამოცემის ან მომდევნო სამუშაო დღეს.

4.5. სტუდენტთა შესახებ ჩანაწერები იწარმოება ელექტრონულად - "Unik follow". ელექტრონულ რეესტრში - "Unik follow" ჩანაწერების შეტანისა და შეცვლის უფლება აქვს:

ა) ამ თავის 4.3 პუნქტის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ჩანაწერებისა - მხოლოდ სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურს;

ბ) ამ თავის 4.3 პუნქტის „ზ“-„ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ჩანაწერებისა - მხოლოდ ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახურს.

4.6. სტუდენტთა ელექტრონულ რეესტრის - “Unik follow” მონაცემებზე წვდომის უფლება, ჩანაწერების წაშლის, დამატების ან შეცვლის შესაძლებლობის გარეშე, აქვთ უნივერსიტეტის პარტნიორს, რექტორს, სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს, ფაკულტეტის დეკანის ოფისის თანამშრომლებს.

4.7. სტუდენტთა ელექტრონულ რეესტრში - “Unik follow” ჩანაწერების ცვლილებების/ახალი ჩანაწერების შეტანის ან მომდევნო სამუშაო დღეს სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური შესაბამის ცვლილებებს შეიტანს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ადმინისტრირებად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

4.8. სტუდენტთა ამ თავის 4.1 პუნქტით გათვალისწინებული ზღვრული რაოდენობის ფარგლებში მომავალ აკადემიურ წელს ბაკალავრიატის, სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის თითოეულ პროგრამაზე ამ ინსტრუქციის 2.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გზით მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას, პროგრამების კომიტეტების თავმჯდომარეთა მოხსენებითი ბარათების საფუძველზე, სტუდენტთა ელექტრონული რეესტრის - “Unik follow” ჩანაწერებისა და პარტნიორთა საერთო კრების მიერ ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, განსაზღვრავს ფაკულტეტის დეკანი და განიხილავს ფაკულტეტის საბჭო მიმდინარე აკადემიური წლის 15-დან 30 ოქტომბრამდე.

4.9. ბაკალავრიატის, სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი და მაგისტრატურის პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს იმ აბიტურიენტთა/ მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების შესაძლებლობა, რომელთა მიღებაზეც გაცემულია უნივერსიტეტის რექტორის წერილობითი თანხმობა, გათვალისწინებული ამ ინსტრუქციის III თავით.

4.10. ფაკულტეტის დეკანი ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებულ წინადადებას ამ თავის 4.8 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე გადასცემს უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც უზრუნველყოფს წინადადების განხილვა-დამტკიცებას აკადემიური საბჭოს მიერ მიმდინარე აკადემიური წლის 15 ნოემბრამდე.

4.11. ამ თავის 4.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ზღვრული რაოდენობის ფარგლებში არსებული სტუდენტთა ვაკანტური ადგილები მომავალი სემესტრისათვის ბაკალავრიატის, სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამების მიხედვით, სტუდენტთა ელექტრონული რეესტრის - "Unik follow" ჩანაწერების საფუძველზე, განისაზღვრება რექტორის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა არდადეგების მე-2 კვირაში.

4.12. სემესტრის დასრულების შემდეგ, არდადეგების პირველ კვირაში, სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური, სტუდენტთა ელექტრონული რეესტრის - "Unik follow"მონაცემების საფუძველზე, განსაზღვრავს სტუდენტთა ვაკანტური ადგილების რაოდენობას ბაკალავრიატის, სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში, ადგენს და რექტორს წარუდგენს ამ თავის 4.11 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების პროექტს ამ ვაკანტური ადგილების დამტკიცების თაობაზე. ბრძანების პროექტის შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს პროგრამების მიხედვით მომავალ აკადემიურ წელს მისაღებ სტუდენტთა ამ მუხლის 4.8-4.10 პუნქტების მიხედვით დადგენილი რაოდენობა და იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჩაირიცხონ ამათუიმ პროგრამაზე რექტორის ამ ინსტრუქციის III თავით გათვალისწინებული თანხმობის წერილების საფუძველზე.

თავი V. უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტად ერთიანი ეროვნული გამოცდებით მიღების გამოცხადება

5.1. ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიან პროგრამებზე სტუდენტთა მისაღებად ამ ინსტრუქციის 2.8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის პირობით აკადემიური საბჭო, ამ ინსტრუქციის 4.8-4.10 პუნქტებით გათვალისწინებული წესითა და ვადებში, განსაზღვრავს მომავალი აკადემიური წლისათვის:

ა) ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიან თითოეულ პროგრამაზე მისაღებად ჩასაბარებელ ერთიან ეროვნულ გამოცდას ერთ ან რამოდენიმე უცხო ენაში შემდეგი ჩამონათვალიდან (თუ აკადემიური საბჭო არ აირჩევს არცერთს ან აირჩევს რამოდენიმეს, ამათგან ერთ-ერთის არჩევის უფლება აქვს აბიტურიენტს):

ა.ა) გერმანული ენა;

ა.ბ) ინგლისური ენა;

ა.გ) რუსული ენა;

ა.დ) ფრანგული ენა;

ბ) ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიან თითოეულ პროგრამაზე მისაღებად ჩასაბარებელ ერთ ან რამოდენიმე გამოცდას არჩევით საგნებში, გარდა უცხო ენებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მომავალი წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩამონათვალით; თუ აკადემიური საბჭო აირჩევს რამოდენიმე გამოცდას, აბიტურიენტს უფლება აქვს, ჩააბაროს ერთი, რამოდენიმე ან ყველა მათგანი;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით არჩეული თითოეული საგნის გამოცდაჩაბარებული აბიტურიენტების მინიმალურ კვოტას, თუ ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიან პროგრამაზე მისაღებად განსაზღვრულია გამოცდის ჩაბარება ორ ან რამოდენიმე საგანში;

დ) მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიან თითოეულ პროგრამაზე მისაღებად ჩასაბარებელი თითოეული გამოცდისათვის; მინიმალური კომპეტენციის დადგენილი ზღვარი რომელიმე გამოცდისათვის არ უნდა იყოს იმაზე ნაკლები, რაც ამ გამოცდისათვის დადგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით“;

ე) ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიან თითოეულ პროგრამაზე მისაღებად ჩასაბარებელი თითოეული გამოცდისათვის მისანიჭებელ კოეფიციენტს.

5.2. ჩასაბარებელი გამოცდების ჩამონათვალი ამ თავის 5.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით უნდა განისაზღვროს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით.

5.3. ამ თავის 5.1 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კოეფიციენტების ჯამი უნდა იყოს 12. თუ ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიან პროგრამაზე მისაღებად განსაზღვრულია რამოდენიმე გამოცდიდან რომელიმეს ჩაბარება აბიტურიენტის არჩევანით ამ თავის 5.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის პირობით, ყველა ამ გამოცდისათვის განისაზღვრება ერთი საერთო კოეფიციენტი.

5.4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რექტორის დავალებით, მიმდინარე აკადემიური წლის 1-დან 10 დეკემბრამდე ავსებს და წარუდგენს სსიპ განათლების

ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ სპეციალურ ანკეტა-კითხვარს, რომელშიც შეიტანება:

ა) უნივერსიტეტის სამართლებრივი ფორმა და სრული დასახელება;

ბ) უნივერსიტეტის საფოსტო მისამართი;

გ) უნივერსიტეტის (ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამსახურის და ფაკულტეტის დეკანის ოფისის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები, ელექტრონული ფოსტის მისამართი;

დ) რექტორის ვინაობა და მისი საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;

ე) ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამები, რომლებზეც მოხდება აბიტურიენტთა მიღება და თითოეულ მათგანზე ადგილების რაოდენობა ცალ-ცალკე;

ვ) მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება;

ზ) ინფორმაცია იმის თაობაზე, აკრედიტებულია თუ არა ბაკალავრიატის პროგრამა;

თ) გადაწყვეტილება ერთიანი ეროვნული გამოცდის თითოეული საგნისთვის ამ მუხლის 5.1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრის თაობაზე ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი თითოეული პროგრამის მიხედვით;

ი) სწავლის წლიური საფასური ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამისთვის და პროგრამით სწავლების მთელი ხანგრძლივობის პერიოდში მისი შესაძლო შეცვლის პირობები;

კ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული არჩევითი საგანი/საგნები ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამების მიხედვით;

ლ) ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამების მიხედვით ცალკეული საგამოცდო საგნებისათვის მინიჭებული კოეფიციენტები, ხოლო თუ კოეფიციენტები იდენტურია, აგრეთვე, საგნების პრიორიტეტი;

მ) სწავლების ენა ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამების მიხედვით;

ნ) აბიტურიენტებისთვის განსაზღვრული სპეციალური პირობები;

ო) სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.

5.5. ამ თავის 5.4 პუნქტით გათვალისწინებული ანკეტა-კითხვარის ფორმა ყოველწიურად, 1 ნოემბრამდე, ქვეყნდება სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდებზე.

5.6. ამ თავის 5.4 პუნქტით გათვალისწინებული ანკეტა-კითხვარი წარმოადგენს მომავალ აკადემიურ წელს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამების სტუდენტთა მიღების განაცხადს.

5.7. აბიტურიენტების საბუთებს უნივერსიტეტი მიიღებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების წლის 1-დან 15 სექტემბრამდე.

5.8. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების წლის 1 სექტემბრამდე რექტორი გამოსცემს ბრძანებას აბიტურიენტთა მიერ წარმოსადგენი საბუთების მიღების შესახებ.

5.9. რექტორის ამ თავის 5.8 პუნქტით გათვალისწინებულ ბრძანებაში მიეთითება:

ა) აბიტურიენტთა მიერ წარმოსადგენი საბუთების ჩამონათვალი;

ბ) საბუთების წარმოდგენის ადგილი, დღეები და დრო;

გ) საბუთების მიღებაზე პასუხიმგებელი პირის (პირების) თანამდებობა, სახელი, გვარი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.

5.10. რექტორის ამ თავის 5.8 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების პროექტს ამზადებს სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური.

5.11. ბრძანების გამოცემისთანავე ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური მის დამოწმებულ პირს გადასცემს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, რომელიც აქვეყნებს მას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არაუგვიანეს გამოცემის მომდევნო სამუშაო დღისა.

თავი VI. უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტად სამაგისტრო გამოცდებით მიღების გამოცხადება

6.1. მაგისტრატურის პროგრამებზე სტუდენტთა მისაღებად ამ ინსტრუქციის 2.8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირობით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, რექტორის წარდგინებით, ინსტრუქციის 4.8-4.10 პუნქტებით გათვალისწინებული წესითა და ვადებში, განსაზღვრავს მომავალი აკადემიური წლისათვის:

ა) საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის იმ ნაწილებს შემდეგი ჩამონათვალიდან, რომლებშიც მაგისტრანტობის კანდიდატმა აუცილებლად უნდა გადალახოს მინიმალური

კომპეტენციის ზღვარი, რომ დაშვებულ იქნეს უნივერსიტეტის მიერ ჩასატარებელ სამაგისტრო გამოცდაზე (მაგისტრანტობის კანდიდატმა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უნდა გადალახოს ტესტის რომელიმე 3 ან, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ოთხივე ნაწილში):

ა.ა) წაკითხულის გააზრება;

ა.ბ) ანალიტიკური წერა;

ა.გ) ლოგიკური მსჯელობა;

ა.დ) რაოდენობრივი მსჯელობა;

ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ყოველი ნაწილის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს მაგისტრატურის თითოეული პროგრამისათვის (მინიმალური კომპეტენციის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი ზღვარი ტესტის რომელიმე ნაწილისათვის არ უნდა იყოს იმაზე ნაკლები, რაც ამ ნაწილისათვის დადგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებით“);

გ) უნივერსიტეტის მიერ ჩასატარებელი სამაგისტრო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს;

დ) საერთო სამაგისტრო გამოცდისა და უნივერსიტეტის მიერ ჩასატარებელი გამოცდისათვის მინიჭებულ კოეფიციენტს.

6.2. ამ თავის 6.1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კოეფიციენტების ჯამი უნდა იყოს 100. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, არ მიანიჭოს კოეფიციენტი საერთო სამაგისტრო გამოცდას. მაშინ უნივერსიტეტის მიერ ჩასატარებელი სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტი იქნება 100.

6.3. თუ საერთო სამაგისტრო გამოცდას მიენიჭება კოეფიციენტი, იგი არ უნდა იყოს 35-ზე ნაკლები და 65-ზე მეტი. ეს კოეფიციენტი წარმოადგენს საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის თითოეული ნაწილისათვის მინიჭებული კოეფიციენტების ჯამს. ტესტის ერთი ნაწილისათვის მინიჭებული კოეფიციენტი უნდა იყოს, სულ ცოტა, 5.

6.4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების მიზნით სამაგისტრო გამოცდების ჩატარების წლის პირველი თებერვლიდან 10 თებერვლამდე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ელექტრონული ფორმით ასახავს სპეციალურ ანკეტა-კითხვარს და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაციას. ანკეტა-კითხვარში შეიტანება:

ა) უნივერსიტეტის სამართლებრივი ფორმა და სრული დასახელება;

ბ) უნივერსიტეტის საფოსტო მისამართი;

გ) უნივერსიტეტის (ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამსახურის და ფაკულტეტის დეკანის ოფისის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები, ელექტრონული ფოსტის მისამართი;

დ) რექტორის ვინაობა და მისი საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;

ე) მაგისტრატურის პროგრამები, რომლებზეც მოხდება აბიტურიენტთა მიღება და თითოეულ მათგანზე ადგილების რაოდენობა ცალ-ცალკე;

ვ) მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება;

ზ) ინფორმაცია იმის თაობაზე, აკრედიტებულია თუ არა მაგისტრატურის პროგრამა;

თ) გადაწყვეტილება საერთო სამაგისტრო გამოცდის თითოეული ტესტის ნაწილისთვის ამ ინსტრუქციის 6.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დადგენის თაობაზე მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით;

ი) სწავლის წლიური საფასური მაგისტრატურის პროგრამისთვის და პროგრამით სწავლების მთელი ხანგრძლივობის პერიოდში მისი შესაძლო შეცვლის პირობები;

კ) მაგისტრატურის პროგრამების მიხედვით:

კ.ა) ამ ინსტრუქციის 6.2 პუნქტის შესაბამისად საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის კოეფიციენტების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – გადაწყვეტილება საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისთვის და უნივერსიტეტის მიერ ჩასატარებელი გამოცდისათვის კოეფიციენტების განაწილების თაობაზე, ხოლო თუ კოეფიციენტები იდენტურია, აგრეთვე ტესტის ნაწილების/გამოცდის პრიორიტეტი;

კ.ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის კოეფიციენტების არმინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – გადაწყვეტილება უნივერსიტეტის მიერ ჩასატარებელი გამოცდისათვის კოეფიციენტის მინიჭების თაობაზე;

ლ) საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის იმ ნაწილების ჩამონათვალი, რომლებშიც მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა გადალახოს ამ ინსტრუქციის 6.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრები იმისთვის, რომ მოიპოვოს მონაწილეობის მიღების უფლება უნივერსიტეტის მიერ ჩასატარებელ სამაგისტრო გამოცდაში;

მ) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებთან;

ნ) მაგისტრატურის პროგრამის შესაბამისი საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი;

ო) სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.

6.5. ამ თავის 6.4 პუნქტის მიხედვით შესავსები ანკეტა-კითხვარის ფორმა ყოველწიურად, 1 თებერვლამდე, ქვეყნდება სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდებზე.

6.6. ანკეტა-კითხვართან ერთად სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარედგინება მაგისტრატურის თითოეული პროგრამის ანოტაცია. ანოტაციაში მითითებული უნდა იყოს:

ა) მაგისტრატურის პროგრამის დასახელება, მიზანი და სწავლის შედეგი;

ბ) მაგისტრატურის პროგრამის მოცულობა კრედიტებში;

გ) ინფორმაცია პროგრამის დამტკიცების შესახებ.

6.7. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, მაგისტრატურაში მიღების წელს რექტორის წარდგინებით შეცვალოს/დაამატოს საერთო სამაგისტრო გამოცდებთან დაკავშირებული ინფორმაცია ანკეტა-კითხვარსა და ანოტაციებში. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს განახლებული ანკეტა-კითხვარი და პროგრამის ანოტაცია წარედგინება ამავე წლის 5 სექტემბრამდე.

6.8. ამ თავის 6.4 პუნქტით გათვალისწინებული, შევსებული ანკეტა-კითხვარი, რომელსაც სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი განათავსებს საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდზე, წარმოადგენს მომავალ აკადემიურ წელს უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამების სტუდენტთა მიღების განაცხადს.

6.9. სამაგისტრო გამოცდებს უნივერსიტეტი ატარებს მაგისტრატურის პროგრამების შესაბამის სპეციალობებში. გამოცდები ტარდება წერით.

6.10. მაგისტრატურის თითოეული პროგრამისათვის უნივერსიტეტის მიერ ჩასატარებელი გამოცდის საკითხებსა და ამ საკითხების მიხედვით შედგენილ საგამოცდო დავალებებს (ბილეთებს), გამოცდის შედეგების შეფასების ინსტრუქციებს ადგენენ და

წარუდგენენ რექტორს შესაბამისი პროგრამების კომიტეტები სამაგისტრო გამოცდების ჩატარების წლის თებერვალში.

6.11. რექტორი უზრუნველყოფს სამაგისტრო გამოცდების საგამოცდო საკითხებისა და დავალებების, გამოცდის შედეგების შეფასების ინსტრუქციის განხილვა-დამტკიცებას აკადემიური საბჭოს მიერ სამაგისტრო გამოცდების ჩატარების წლის 1-დან 25 მარტამდე..

6.12. აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგამოცდო დავალებები, საბჭოს სხდომის დასრულებისას, ორ-ორ პაკეტად ილუქება ქაღალდის კონვერტებში და შესანახად გადაეცემა ფაკულტეტის დეკანის ოფისს.

6.13. აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ საგამოცდო საკითხებს მაგისტრატურის თითოეული პროგრამისათვის და გამოცდის შედეგების შეფასების ინსტრუქციას საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური აქვეყნებს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სამაგისტრო გამოცდების ჩატარების წლის 1 აპრილამდე.

6.14. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, შეიტანოს ცვლილებები სამაგისტრო გამოცდების საკითხებსა და დავალებებში სამაგისტრო გამოცდების ჩატარების წლის 5 სექტემბრამდე ამ ინსტრუქციის 6.10-6.13 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურებით.

6.15. სამაგისტრო გამოცდების ჩატარების წლის 5 სექტემბრამდე რექტორი გამოსცემს ბრძანებას მაგისტრანტობის კანდიდატთა მიერ წარმოსადგენი საბუთების მიღების შესახებ. ბრძანებაში მიეთითება:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატთა მიერ წარმოსადგენი საბუთების ჩამონათვალი;

ბ) საბუთების წარმოდგენის ადგილი, დღეები და დრო;

გ) საბუთების მიღებაზე პასუხიმგებელი პირის (პირების) თანამდებობა, სახელი, გვარი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.

6.16. რექტორის ამ თავის 6.15 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების პროექტს ამზადებს სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური.

6.17. ბრძანების გამოცემისთანავე ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური მის დამოწმებულ პირს გადასცემს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6.18. სამაგისტრო გამოცდები ტარდება 20-დან 25 სექტემბრამდე.

6.19. სამაგისტრო გამოცდების თარიღსა და დროს, ჩატარების ადგილს, გამოცდის პროცესის ადმინიტრატორისა და მისი თანაშემწეების, საგამოცდო ნაშრომების შემფასებლებლების, საპრეტენზიო კომისიის წევრების ვინაობას ბრძანებით

განსაზღვრავს ფაკულტეტის დეკანი. ბრძანება გამოიცემა რექტორის ამ თავის 6.15 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოცემიდან 10 დღის ვადაში.

6.20. სამაგისტრო გამოცდის პროცესის ადმინისტრატორად და მის თანაშემწეებად ინიშნებიან ფაკულტეტის დეკანის ოფისის თანამშრომლები.

6.21. სამაგისტრო გამოცდის საგამოცდო ნაშრომების შემფასებლებად და საპრეტენზიო კომისიის წევრებად ინიშნებიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამშრომლები. ნაშრომის შემფასებელი არ შეიძლება იყოს საპრეტენზიო კომისიის წევრი.

6.22. ფაკულტეტის დეკანის ამ თავის 6.19 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოცემისთანავე ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური მის დამოწმებულ პირს გადასცემს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6.23. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური რექტორის ამ თავის 6.15 პუნქტით გათვალისწინებულ ბრძანებას და ფაკულტეტის დეკანის ამ თავის 6.19 პუნქტით გათვალისწინებულ ბრძანებას, გარდა მისი იმ ნაწილისა, რომლითაც განსაზღვრულია გამოცდის პროცესის ადმინისტრატორისა და მისი თანაშემწეების, საგამოცდო ნაშრომების შემფასებლებისა და საპრეტენზიო კომისიის წევრების ვინაობა, აქვეყნებს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სამაგისტრო გამოცდების ჩატარების წლის 5 სექტემბრამდე.

თავი VII. უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტად სადოქტორო გამოცდით მიღების გამოცხადება

7.1. უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამებზე სტუდენტებს, ამ ინსტრუქციის 2.8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირობით, უნივერსიტეტი იღებს მის მიერვე ჩატარებული სადოქტორო გამოცდის შედეგების მიხედვით. სადოქტორო გამოცდას უნივერსიტეტი ატარებს დოქტორანტურის პროგრამის შესაბამის სპეციალობაში. გამოცდა ტარდება წერით. სადოქტორო გამოცდაზე დაშვების წინაპირობებია:

ა) დოქტორანტობის კანდიდატის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გამოცდილება;

ბ) გერმანული, ინგლისური ან ფრანგული ენის ცოდნა, სულ ცოტა, B2 დონეზე.

7.2. თუ დოქტორანტობის კანდიდატის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გამოცდილება არ დასტურდება ამ თავით გათვალისწინებული, მის მიერ წარმოდგენილი საბუთებით, იგი გაივლის გასაუბრებას ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსთან ამ თავით დადგენილი წესით და სადოქტორო გამოცდაზე დაიშვება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც მიიღება გასაუბრების შედეგის მიხედვით. გასაუბრება ტარდება დოქტორანტობის კანდიდატის საკვლევი თემის ირგვლივ ირგვლივ.

7.3. თუ გერმანული, ინგლისური ან ფრანგული ენის ცოდნა, სულ ცოტა, B2 დონეზე არ დასტურდება ამ თავით გათვალისწინებული, დოქტორანტობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საბუთებით, იგი აბარებს უნივერსიტეტის მიერ მოწყობილ გამოცდას გერმანულ, ინგლისურ ან ფრანგულ ენაში და სადოქტორო გამოცდაზე დაიშვება ამ გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში. გამოცდა ტარდება ტესტირებით.

7.4. გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებში გამოცდების ტესტებსა და მათი შეფასების ინსტრუქციას ამზადებს და წარუდგენს რექტორს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტი სადოქტორო გამოცდების ჩატარებამდე, ერთი თვით ადრე.

7.5. დოქტორანტურის თითოეული პროგრამისათვის უნივერსიტეტის მიერ ჩასატარებელი სადოქტორო გამოცდის საკითხებს, ამ საკითხების მიხედვით შედგენილ საგამოცდო დავალებებს (ბილეთებს) და გამოცდის შედეგების შეფასების ინსტრუქციას ამზადებს და წარუდგენს რექტორს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო სადოქტორო გამოცდების ჩატარებამდე, ერთი თვით ადრე .

7.6. რექტორი უზრუნველყოფს ამ თავის 7.4-7.5 პუნქტებით გათვალისწინებული საგამოცდო ტესტების, საგამოცდო საკითხებისა და დავალებების, გამოცდების შედეგების შეფასების ინსტრუქციათა განხილვა-დამტკიცებას უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ სადოქტორო გამოცდების ჩატარებამდე,ორი კვირით ადრე

7.7. აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგამოცდო ტესტები და დავალებები, საბჭოს სხდომის დასრულებისას, ერთ პაკეტად ილუქება ქაღალდის კონვერტებში და შესანახად გადაეცემა ფაკულტეტის დეკანის ოფისს

7.8. სადოქტორო გამოცდების ჩატარებამდე, 1 თვით ადრე რექტორი გამოსცემს ბრძანებას დოქტორანტურის პროგრამებზე დოქტორანტობის კანდიდატთა მიღების გამოცხადების თაობაზე. ბრძანებაში მიეთითება:

ა) უნივერსიტეტის სამართლებრივი ფორმა და სრული დასახელება;

ბ) უნივერსიტეტის საფოსტო მისამართი;

გ) უნივერსიტეტის (ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამსახურის და ფაკულტეტის დეკანის ოფისის) ტელეფონის ნომერი, და ელექტრონული ფოსტის მისამართი;

დ) რექტორის ვინაობა და მისი საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;

ე) დოქტორანტურის პროგრამების ჩამონათვალი, რომლებზეც მოხდება დოქტორანტობის კანდიდატთა მიღება და თითოეულ მათგანზე ადგილების რაოდენობა ცალ-ცალკე;

ვ) მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება;

ზ) ინფორმაცია დოქტორანტურის პროგრამების აკრედიტაციის შესახებ;

თ) დოქტორანტურის თითოეული პროგრამით სწავლების ენა;

ი) სწავლის წლიური საფასური დოქტორანტურის თითოეული პროგრამისთვის და პროგრამით სწავლების მთელი ხანგრძლივობის პერიოდში მისი შესაძლო შეცვლის პირობები;

კ) დოქტორანტურის თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, მიზანი, სწავლის შედეგი და მოცულობა კრედიტებში;

ლ) დოქტორანტობის კანდიდატის მიერ წარმოსადგენი საბუთების ნუსხა და საბუთების წარმოდგენის ვადები, საბუთების მიღებაზე პასუხიმგებელი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.

7.9. ამ თავის 7.8 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების პროექტს ამზადებს სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური.

7.10. ბრძანების გამოცემისთანავე ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური მის დამოწმებულ პირს გადასცემს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, რომელიც აქვეყნებს მას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ბრძანებასთან ერთად ქვეყნდება აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგამოცდო საკითხები დოქტორანტურის თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის, გერმანული, ინგლისური და ფრანგული ენის საგამოცდო ტესტების ნიმუშები და ამ თავის 7.4 და 7.5 პუნქტებით გათვალისწინებული გამოცდების შედეგების შეფასების ინსტრუქციები.

7.11. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, შეიტანოს ცვლილებები ამ თავის 7.10 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებში სადოქტორო გამოცდების ჩატარებამდე, 1 ნოემბრამდე, ამ თავის 7.4-7.10 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.

7.12. ამ თავის 7.2 პუნქტით გათვალისწინებულ გასაუბრება, გამოცდები გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებში და სადოქტორო გამოცდა ტარდება რექტორის ამ თავის 7.8 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოქვეყნების შემდეგ, დეკემბერ-იანვარში.

7.13 გასაუბრებისა და გამოცდების თარიღსა და დროს, ჩატარების ადგილს, გამოცდის პროცესის ადმინიტრატორისა და მისი თანაშემწეების ვინაობას ბრძანებით განსაზღვრავს ფაკულტეტის დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებული გასაუბრების ჩატარებამდე, სულ ცოტა, 2 კვირით ადრე.

7.14. გამოცდების პროცესის ადმინისტრატორად და მის თანაშემწეებად ინიშნებიან ფაკულტეტის დეკანის ოფისის თანამშრომლები.

7.15. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური ფაკულტეტის დეკანის ამ თავის 7.14 პუნქტით გათვალისწინებულ ბრძანებას, გარდა მისი იმ ნაწილისა, რომლითაც განსაზღვრულია გამოცდების პროცესის ადმინისტრატორისა და მისი თანაშემწეების, საგამოცდო ნაშრომების შემფასებლებისა და საპრეტენზიო კომისიის წევრების ვინაობა, აქვეყნებს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არაუგვიანეს ბრძანების გამოცემის მომდევნო სამუშაო დღისა.

თავი VIII. უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამების სტუდენტებად საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოსვლის გზით მიღების გამოცხადება

8.1. უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლებლად სტუდენტთა მიღებას ამ ინსტრუქციის 2.10 პუნქტის პირობებით უნივერსიტეტი აცხადებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონული პორტალის მეშვეობით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

8.2. სტუდენტთა მიღება ამ თავით გათვალისწინებული წესით ცხადდება აკადემიური წლის საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრების დაწყების წინ.

8.3. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონული პორტალზე უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულებების მიერ საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა მიღების (მობილობის) მიზნით ვაკანტური ადგილების დარეგისტრირების ვადებს ბრძანებით ადგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი.

8.4. ამ თავის 8.3 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით დადგენილი ვადის პირველი 2 სამუშაო დღის განმავლობაში სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური, რექტორის ამ ინსტრუქციის 4.11 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების საფუძველზე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე არეგისტრირებს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

8.5. ამ თავის 8.4 პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაცია არის უნივერსიტეტის მიერ ამ ინსტრუქციის 2.10 პუნქტით განსაზღვრულ პირთა ბაკალავრიატის, სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებად მიღების გამოცხადება.

8.6. ამ ინსტრუქციის 2.10 პუნქტით განსაზღვრული პირები უნივერსიტეტის სტუდენტად მისაღები საბუთების წარმოდგენის უფლებას შეიძენენ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის გავლის გზით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესით“ დადგენილი პროცედურებით.

თავი IX. უნივერსიტეტის სტუდენტად მიღებისათვის საჭირო საბუთების წარმოდგენისა და მიღების წესი

9.1. პირმა, ვისაც აქვს სურვილი, ისწავლოს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით და მოპოვებული აქვს ამის უფლება ამ ინსტრუქციის 2.8 პუნქტის რომელიმე პირობით, ამ თავით გათვალისწინებული წესითა და ვადებში უნდა წარმოადგინოს უნივერსიტეტში შემდეგი საბუთები:

ა) განცხადების შევსებული ფორმა (განცხადებების ფორმები ბაკალავრიატის, სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურის და დოქტორანტურის პროგრამებზე მისაღებად გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე);

ბ) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქისათვის - პირადობის მოწმობა, მოქალაქეობის არმქონე პირისათვის - ბინადრობის მოწმობა) დედანი და ქსეროასლი (თუ მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი უცხოენოვანია, თან უნდა დაერთოს ყველა შევსებული გვერდის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე);

გ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის (სავალდებულოა მხოლოდ საქართველოს მოქალაქე ვაჟებისათვის) დედანი და მისი ყველა შევსებული გვერდის ქსეროასლი;

დ) შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (თუ დოკუმენტი უცხოენოვანია, თან უნდა დაერთოს ყველა შევსებული გვერდის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე) დედანი და ქსეროასლი:

დ.ა) აბიტურიენტმა - საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და მისი ქსეროასლი;

დ.ბ) მაგისტრანტობის კანდიდატმა - აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის დედანი და ქსეროასლი (თუ დოკუმენტი გაცემულია უცხოეთში, თან უნდა დაერთოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებაზე, დოკუმენტის ნამდვილობისა და მასში ასახული კვალიფიკაციის საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობის დადასტურებით ან შუალედური გადაწყვეტილება უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებაზე, დოკუმენტში ასახული კვალიფიკაციის საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობის დადასტურებით);

დ.გ) დოქტორანტობის კანდიდატმა - მაგისტრის ან დოქტორის დიპლომის ან მათთან გათანაბრებული დოკუმენტის დედანი და ქსეროასლი (თუ დოკუმენტი გაცემულია უცხოეთში, თან უნდა დაერთოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებაზე, დოკუმენტის ნამდვილობისა და მასში ასახული კვალიფიკაციის საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობის დადასტურებით ან შუალედური გადაწყვეტილება უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებაზე, დოკუმენტში ასახული კვალიფიკაციის საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობის დადასტურებით);

ე) თავისი 2 ფოტოსურათი ზომით 3x4 სმ და ამ ფოტოსურათის ელექტრონული ჩანაწერი CD დისკზე.

9.2. საქართველოს მოქალაქემ, რომელიც უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტად მისაღებია ამ ინსტრუქციის 2.12 პუნქტის პირობით, ამ თავის 9.1 პუნქტით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინოს სსიპ განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის აქტი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების შესახებ.

9.3. მაგისტრანტობის კანდიდატმა, რომელიც მაგისტრანტად მისაღებია ამ ინსტრუქციის 2.9 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის პირობით, ამ თავის 9.1 პუნქტით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინოს სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპის სერტიფიკატის დედანი და ქსეროასლი.

9.4. დოქტორანტობის კანდიდატმა, რომელიც დოქტორანტად მისაღებია ამ ინსტრუქციის 2.9 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის პირობით, ამ თავის 9.1 პუნქტით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) პროფესიული ბიოგრაფია (CV);

ბ) გერმანული, ინგლისური ან ფრანგული ენის B2 ან უფრო მაღალ დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, გაცემული საყოველთაოდ აღიარებული დაწესებულების მიერ ან ცნობა, გაცემული იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, რომელშიც დოქტორანტობის კანდიდატმა მიიღო ბაკალავრის, მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, იმის თაობაზე, რომ ამ დაწესებულებაში შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული საგნების ერთი მესამედი

ან მეტი მან ისწავლა გერმანულ, ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე (თუ სერტიფიკატი ან ცნობა უცხოენოვანია, თან უნდა ახლდეს სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე);

გ) საზღვარგარეთ რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში, იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში, შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში ან საქართველოში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ ან ბეჭდურ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია - გამოცემის ერთი ეგზემპლარის სახით, თუ სტატია გამოქვეყნებულია ბეჭდურ ჟურნალში ან კრებულში ან სტატიის ამონაბეჭდისა და შესაბამისი საიტის ელექტრონულ მისამართის სახით, თუ სტატია გამოქვეყნებულია ელექტრონულ ჟურნალში ან კრებულში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

9.5. დოქტორანტობის კანდიდატს, რომელიც დოქტორანტად მისაღებია ამ ინსტრუქციის 2.9 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის პირობით და წარმოდგენილი აქვს დოქტორის დიპლომი, არ მოეთხოვება 9.4 პუნქტის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საბუთების წარმოდგენა.

9.6. პირმა, რომელიც დოქტორანტად მისაღებია ამ ინსტრუქციის 2.11 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის პირობით, ამ თავის 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინოს

ა) უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურაში მიღებული კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლი და მისი სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე;

ბ) სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება პირის მიერ უცხო ქვეყნის აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მესამე საფეხურის (დოქტორანტურის) საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტებში მოპოვებული სწავლის შედეგების აღიარებაზე.

9.7. თუ უნივერსიტეტის სტუდენტად მისაღებია საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი ან სტუდენტის სტატუსშეჩერებული პირი ამ ინსტრუქციის 2.10 პუნქტის პირობით, მან, გარდა 9.4 პუნქტით გათვალისწინებული საბუთებისა, უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის აქტის ასლი ან მისი ამონაწერი ამ პირის სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში

ჩარიცხვის შესახებ, დამოწმებული სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ან სანოტარო წესით;

ბ) სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ამ პირის პირად საქმეში დაცული ყველა საბუთის ასლი, დამოწმებული სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ან სანოტარო წესით (თუ უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამით სწავლის გაგრძელების მსურველ პირს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში წარდგენილი აქვს მაგისტრის დიპლომი, უნივერსიტეტში წარმოდგენილ უნდა იქნეს ამ დიპლომის დანართის ასლი, დამოწმებული სანოტარო წესით, სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, რომელმაც გასცა დიპლომი, მიუხედავად იმისა, ინახება თუ არა დანართის დედანი ან მისი ასლი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში);

გ) თუ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ არსებობს/არსებობდა სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგად სტუდენტისათვის კრედიტების მინიჭების სისტემა - ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული სტუდენტის სასწავლო ბარათი ან სხვა ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია თითოეული სასწავლო კომპონენტის სწავლის ხანგრძლივობა საათებსა და კვირებში;

დ) თუ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტის სასწავლო დატვირთვის შესაფასებლად იყენებს კრედიტების მინიჭების სისტემას, განსხვავებულს ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემისაგან (ECTS სისტემა) - სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც განმარტავს ამ სისტემის ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან (ECTS სისტემასთან) შეთავსების წესებს;

ე) თუ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს სწავლის შედეგების შეფასების არა 100 ქულიან, არამედ განსხვავებულ სისტემას - სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც განმარტავს იქ გამოყენებული სისტემის შეფასების 100 ქულიან სისტემასთან შეთავსების წესებს.

9.8. აბიტურიენტებმა, რომლებმაც უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამებით სწავლის უფლება მოიპოვეს ამ ინსტრუქციის 2.9 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის პირობით, უნდა წარმოადგინონ

უნივერსიტეტში 9.1 პუნქტით გათვალისწინებული საბუთები 5.7 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში. თუ აბიტურიენტი ამას არ/ვერ გააკეთებს, მას უფლება აქვს, საბუთები წარმოადგინოს უნივერსიტეტში ამ ვადის ამოწურვის შემდეგაც, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო წლის მაისის ბოლო სამუშაო დღისა. ამ შემთხვევაში უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამით სასწავლებლად იგი მიიღება მომავალი აკადემიური წლიდან.

9.9. მაგისტრანტობის კანდიდატებმა, რომლებმაც უნივერსიტეტის მიერ ჩასატარებელი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების უფლება მოიპოვეს ამ ინსტრუქციის 2.9 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის პირობით, უნდა წარმოადგინონ უნივერსიტეტში 9.1 და 9.3 პუნქტებით გათვალისწინებული საბუთები რექტორის ამ ინსტრუქციის 6.15 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში.

9.10. დოქტორანტობის კანდიდატებმა, რომლებსაც უფლება აქვთ, გახდნენ უნივერსიტეტის დოქტორანტები ამ ინსტრუქციის 2.9 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის პირობით და სურვილი აქვთ, ჩააბარონ უნივერსიტეტის მიერ ჩასატარებელი სადოქტორო გამოცდა, უნდა წარმოადგინონ უნივერსიტეტში 9.1 და 9.4 პუნქტებით გათვალისწინებული საბუთები რექტორის ამ ინსტრუქციის 7.8 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში.

9.11. საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტმა ან სტუდენტის სტატუსშეჩერებულმა პირმა, რომელმაც მიიღო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის რომელიმე პროგრამაზე სწავლის მიზნით საბუთების წარდგენის უფლება ამ ინსტრუქციის 2.10 პუნქტის პირობით, 9.1 და 9.7 პუნქტებით გათვალისწინებული საბუთები უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინოს 7 დღის ვადაში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ელექტრონულ პორტალზე იმ პირთა ერთიანი სიის გამოქვეყნების დღიდან, რომლებმაც გამოხატეს სურვილი უნივერსიტეტის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე.

9.12. პირს, რომელმაც მიიღო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი ან მაგისტრატურის პროგრამით სწავლის უფლება ამ ინსტრუქციის 2.9 პუნქტის „ა.ბ“ ან „ბ.ბ“ ქვეპუნქტის ან 2.11 პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტის პირობით, უფლება აქვს, წარმოადგინოს უნივერსიტეტში 9.1 პუნქტით გათვალისწინებული საბუთები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

სამინისტროს ვებ-გვერდზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანების გამოქვეყნების დღიდან 11 თვის განმავლობაში, ნებისმიერ სამუშაო დღეს.

9.13. პირს, რომელსაც სურვილი აქვს, გააგრძელოს სწავლა უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამით ამ ინსტრუქციის 2.11 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის პირობით, უფლება აქვს, წარმოადგინოს უნივერსიტეტში 9.1 და 9.6 პუნქტებით გათვალისწინებული საბუთები ნებისმიერ სამუშაო დღეს.

9.14. ამ თავით გათვალისწინებული საბუთები უნდა წარედგინოს საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელ პირს. საბუთები უნდა წარმოადგინოს უნივერსიტეტის სტუდენტად მისაღებმა პირმა უშუალოდ ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა. თუ საბუთებს წარმოადგენს პირის კანონიერი წარმომადგენელი, მან უნდა წარმოადგინოს თავისი მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი და მისი წამომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტიც (შვილის დაბადების მოწმობა, სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, სასამართლოს გადაწყვეტილება და ა.შ.) ქართულ ენაზე ან უცხო ენაზე, სანოტარო წესით დამოწმებულ ქართულენოვან თარგმანთან ერთად.

9.15. იმ აბიტურიენტთა საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლებიც უნივერსიტეტის სტუდენტებად მიღებულ უნდა იქნენ მიმდინარე წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით, არის ფაკულტეტის დეკანის ოფისის ბაკალავრიატის პროგრამების მენეჯერი, რომელიც საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელ პირად, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, ინიშნება რექტორის ამ ინსტრუქციის 5.8 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით.

9.16. ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამების სტუდენტებად ჩასარიცხ იმ პირთა საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლებიც სტუდენტებად მიიღებიან წლის განმავლობაში, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, არის ფაკულტეტის დეკანის ოფისის ბაკალავრიატის პროგრამების ერთ-ერთი მენეჯერი.

9.17. მაგისტრატურის და დოქტორანტურის პროგრამებზე ჩასარიცხ პირთა საბუთებს იღებს ფაკულტეტის დეკანის ოფისის მაგისტრატურის და დოქტორანტურის პროგრამების მენეჯერი.

9.18. საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელი პირი, პირველ რიგში, ამოწმებს განცხადების შინაარსობრივ გამართულობას და არკვევს, განცხადების შესაბამისად:

ა) ირიცხება თუ არა აბიტურიენტი სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შედგენილ და უნივერსიტეტისათვის ოფიციალურად მოწოდებულ კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში;

ბ) გამოცემულია თუ არა საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანება განმცხადებლის უნივერიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტად მიღებაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე;

გ) ირიცხება თუ არა მაგისტრანტობის კანდიდატი სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ უნივერსიტეტისათვის ოფიციალურად მოწოდებულ საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპის შესაბამის სიაში;

დ) გამოცემულია თუ არა საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანება განმცხადებლის უნივერიტეტის მაგისტრანტად მიღებაზე სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე;

ე) ირიცხება თუ არა სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის მსურველი სტუდენტი ან სხვა უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტის სტატუსშეჩერებული განმცხადებელი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნებულ იმ პირთა ერთიან სიაში, რომლებმაც გამოხატეს სურვილი უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე.

9.19. თუ განმცხადებელი, განცხადების შინაარსის შესაბამისად, აკმაყოფილებს 9.18 პუნქტის ერთ-ერთ პირობას, საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელი პირი ამოწმებს წარმოდგენილი საბუთების ფორმალურ შესაბამისობას ამ თავით გათვალისწინებულ ჩამონათვალთან და დედნებისა და ასლების იდენტურობას. ხარვეზის გამოვლენისას მიუთითებს ამის შესახებ საბუთების წარმომდგენს და, თუ შესაძლებელია, ეხმარება ადგილზევე მათ აღმოფხვრაში.

9.30. საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელ პირს არ აქვს უფლება, ჩაიბაროს საბუთები, რომლებიც შეიცავს ხარვეზს ან წარმოდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ.

9.31. თუ საბუთები წარმოდგენილია 9.30 პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზების გარეშე, საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელი პირი სარეგისტრაციო ნომერს ანიჭებს განცხადებას და ორ ეგზემპლარად ადგენს საბუთების მიღების ცნობას

განცხადების სარეგისტრაციო ნომრის, მიღების თარიღისა და თანდართული საბუთების ჩამონათვალის მითითებით.

9.32. საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელი პირი, ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით, მიღებულ საბუთებით, ამ თავის 9.31 პუნქტით გათვალისწინებული ცნობის ერთ ეგზემპლართან ერთად, ხსნის განმცხადებლის პირად საქმეს. ცნობის მეორე ეგზემპლარს იგი აძლევს საბუთების წარმომდგენს. საბუთების წარმომდგენს ცნობასთან ერთად უბრუნდება მოქალაქეობის და სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი და ამ ინსტრუქციის 9.1 პუნქტის „დ.ბ“ და „დ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების დედნები. მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელიც მაგისტრანტად მისაღებია ამ ინსტრუქციის 2.9 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის პირობით, უბრუნდება აგრეთვე სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპის სერტიფიკატის დედანი.

თავი X. უცხოელ სტუდენტთა უნივერისტეტში ჩარიცხვის წესი.

10.1. შპს ქუთაისის უნივერსიტეტში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ

განსაზღვრული ვადით (უცხო ქვეყანაში ყოფნა არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში) ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

10.2. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების მსურველებმა განცხადებას უნდა დაურთონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) პირის მიერ არჩეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე (სახელის, გვარისა და საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით);

დ) ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქეების განცხადებას ასევე უნდა დაერთოს სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წლის განმავლობაში უცხო ქვეყანაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულმა პირებმა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის ნაცვლად განცხადებას უნდა დაურთონ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა საქართველოს მოქალაქეებმა ამ პუნქტის „ა“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა განცხადებას უნდა დაურთონ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (რეგისტრაციის ცნობა, ბინადრობის დამადასტურებელი ცნობა ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქართველოს მოქალაქის უცხო ქვეყანაში ცხოვრების ფაქტს. უცხო ქვეყანაში ცხოვრება გულისხმობს უცხო ქვეყანაში ყოფნას არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში).

10.3. სტუდენტის ჩარიცხვის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა (ეტაპი I):

10.3.1. აპლიკანტს განაცხადის შემოტანა შპს ქუთაისის უნივერსიტეტში შეუძლია შემდეგი გზებით:

ა) სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურში ელექტრონულ ფოსტაზე გამოგზავნის გზით: admissions@unik.edu.ge;

ბ) ფოსტის მეშვეობით;

გ) წარმომადგენლის მიერ ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურში საბუთების ჩაბარებით, განცხადების შევსებით;

10.3.2. სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურის თანამშრომელი - უცხოელ სტუდენტთა ინტეგრაციის კოორდინატორი ვალდებულია 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში სწორი ინფორმაცია მიაწოდოს აპლიკანტს ჩარიცხვის პროცედურასთან დაკავშირებით და შეაგროვოს პირველადი დოკუმენტები:

ა) პასპორტის ასლი;
ბ) სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ) უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
დ) სააპლიკაციო ფორმა;
ე) დაბადების მოწმობა (არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში);
ვ) მშობლის ან ოფიციალური მეურვის პასპორტის ასლი (არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში);
ზ) აფიდევიტი (იმ შემთხვევაში თუ დოკუმენტებში ფიქსირდება შეუსაბამობა სახელსა და გვარს შორის);
თ) უცხო ქვეყნის უმაღლესი განათლების რეგულაციების მიხედვით შესაძლებელია აპლიკანტს დასჭირდეს დამატებითი საბუთების წარდგენა.

ი) ჯანმრთელობის შესახებ ცნობა

10.3.3. მედიცინის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველი პირი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას B2 დონეზე დადასტურებული შესაბამისი სერთიფიკატით (TOEFEL, IELTS, FCE), რომელიც აღებული უნდა იყოს არაუმეტეს 2 წლით ადრე ქუთაისის უნივერსიტეტში სასწავლო კურსის დაწყებამდე. პირი რომელიც არ ფლობს ინგისური ენის ცოდნის დამადასტურებელ ზემოაღნიშნულ სერთიფიკატს უნივერსიტეტი ინგლისური ენის ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით ატარებს გამოცდას ორ ეტაპად: გასაუბრება და ტესტირება.

10.3.4. ენობრივი კომპეტენციის დადგენა ხორციელდება აპლიკანტთან ინტერვიუს საფუძველზე, რომელიც ტარდება ელექტრონულად პროგრამის Skype -ს (Skype name: eka.vatsadze) მეშვეობით (გასაუბრების მაქსიმალური ქულა შეადგენს 25, მინიმალური ბარიერი 15 ქულა); აპლიკანტთან შეთანხმებით ხორციელდება ინტერვიუს ჩაწერა და ამის საფუძველზე სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური (უცხოელ სტუდენტთა ინტეგრაციის კოორდინატორი) ამზადებს საანგარიშო მოხსენებას, რომელიც თან ერთვის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრში გასაგზავნ დოკუმენტაციას; საუბრის კომპეტენციის დადგენიდან უმოკლეს ვადაში ტარდება ტესტირება ტესტირება (ტარდება წერითი ფორმით, მოწმდება კანდიდატის სამი ძირითადი ენობრივი უნარი: მოსმენა, კითხვა და წერა, ტესტის მაქსიმალური შეფასება 75 ქულა, მინიმალური ბარიერი 45 ქულა.).

10.3.5. აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ჩარიცხვის წინაპირობასთან შესაბამისობის შემთხვევაში სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურის თანამშრომელი ვალდებულია შესაბამისობის დადგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შეატყობინოს ამის შესახებ აპლიკანტს ან მის წარმომადგენელს, გაუგზავნოს შესაბამისი დოკუმენტი - ჩარიცხვამდელი წერილი (pre- acceptance letter).

10.3.6. აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ჩარიცხვის წინაპირობასთან შეუსაბამისობის შემთხვევაში უცხოელ სტიდენტთა ინტეგრაციის კოორდინატორი ვალდებულია შეუსაბამისობის დადგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შეატყობინოს ამის შესახებ აპლიკანტს ან მის წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის, წარმომადგენლის მეშვეობით, ან სხვა გზით;

10.3.7. ჩარიცხვამდელი წერილის მიღების შემდგომ აპლიკანტი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია გადაიხადოს ჩარიცხვის მომსახურების საფასური (admission fee) შემდგომი ეტაპის განსახორციელებლად;

10.3.8. აპლიკანტი ან მისი წარმომადგენელი თავისუფლდება 4.6 პუნქტში მითითებული გადასახდისაგან, თუ ის დამოუკიდებლად აწარმოებს მეორე ეტაპისთვის (პუნქტი 10.4.) დადგენილ პროცედურებს;

10.3.9. უცხოელ სტუდენტთა ინტეგრაციის კოორდინატორი ვალდებულია ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახურს მიაწოდოს აპლიკანტის პირადი მონაცემები (სახელი, გვარი, პასპორტის ნომერი) ჩარიცხვამდელი წერილის გაცემიდან 1 სამუშაო დღეში;

10.3.10. ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია უცხოელ სტუდენტთა ინტეგრაციის კოორდინატორს აპლიკანტის მიერ ჩარიცხვის მომსახურების საფასურის გადახდის თაობაზე ჩარიცხვისთანავე.

10.4. განათლების აღიარება და სწავლის უფლების მინიჭება (ეტაპი II):

10.4.1. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის ინტერესებს წარმოადგენს წარმომადგენელი:

უცხოელ სტუდენტთა ინტეგრაციის კოორდინატორი წარმომადგენლის მოთხოვნის შესაბამისად ამზადებს რექტორის თანხმობის წერილის პროექტს, წარმოდგენილი აპლიკანტის ქართულ ენაზე ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული პასპორტისა და სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.

10.4.2. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი მიმართავს ქუთაისის უნივერსიტეტს ინდივიდუალური განაცხადით:

ა) უცხოელ სტუდენტთა ინტეგრაციის კოორდინატორი უზრუნველყოფს განათლების აღიარებისა და მინისტრის მიერ სწავლის უფლების მინიჭებისათვის საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებას და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გაგზავნას;

ბ) აპლიკანტის მიერ სარეგისტრაციო თანხის გადახდის შემდგომ, უცხოელ სტუდენტთა ინტეგრაციის კოორდინატორი უზრუნველყოფს მიღებული საბუთების გაგზავნას სათარგმნად და ნოტარიულად დასამოწმებლად . აღნიშნული საბუთების უკან მიღების შემდგომ,უცხოელ სტუდენტთა ინტეგრაციის კოორდინატორი გადასცემს ინფორმაციას და შესაბამის დოკუმენტებს (ინვოისს, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შევსებულ სააპლიკაციო ფორმას) ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსს.

გ) უცხოელ სტუდენტთა ინტეგრაციის კოორდინატორი, საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება აპლიკანტს, რომელმაც ინდივიდუალურად შემოიტანა განაცხადი, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისთვის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი განაცხადის შევსებაში;

დ) უცხოელ სტუდენტთა ინტეგრაციის კოორდინატორი ამზადებს რექტორის თანხმობის წერილის პროექტს.

10.4.3. უცხოელ სტუდენტთა ინტეგრაციის კოორდინატორი გადასცემს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიში ჩასაბარებლად შეგროვებულ შემდეგ საბუთებს:

ა) ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული პასპორტის ასლი;
ბ) ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმენბული სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
გ) რექტორის თანხმობის წერილი ;
დ) ელექტრონული ინტერვიუს ჩანაწერი და საანგარიშო მოხსენება;
ე) სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შევსებული განცხადება ;

ვ) უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
ზ) ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული დაბადების მოწმობა (საჭიროების შემთხვევაში);
თ) ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული მშობლის ან ოფიციალური მეურვის პასპორტის ასლი (საჭიროების შემთხვევაში);
ი) ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული აფდევიტი (საჭიროების შემთხვევაში).

10.4.4. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში საბუთების გაგზავნის შემდგომ უცხოელ სტუდენტთა ინტეგრაციის კოორდინატორი ახორციელებს აპლიკანტის მიერ მიღებული განათლების აღიარებისა და სწავლის უფლების მინიჭების პროცედურების მონიტორიგინს, აქვს კომუნიკაცია ცენტრთან და სამინისტროსთან. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოფს ამ ხარვეზის დროულად გამოსწორებას და აპლიკანტის/წარმომადგენლის ინფორმირებას;

10.5. სწავლის საფასურის გადახდა და სავიზო პროცედურები (ეტაპი III):

10.5.1. საქ. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ აპლიკანტისთვის სწავლის უფლების მინიჭების შემდგომ უცხოელ სტუდენტთა ინტეგრაციის კოორდინატორი ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ აპლიკანტს ან მის წარმომადგენელს ინფორმაციის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში და გაუგზავნოს საინფორმაციო წერილი ან ცნობა (Acceptance letter).

10.5.2. ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვალდებულია აპლიკანტის მიერ სწავლის საფასურის გადახდიდან 1 სამუშაო დღის ვადაში აცნობოს ამის შესახებ უცხოელ სტუდენტთა ინტეგრაციის კოორდინატორს;

10.5.3. აპლიკანტის მიერ თანხის გადახდის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდგომ უცხოელ სტუდენტთა ინტეგრაციის კოორდინატორი ვალდებულია 5 (ხუთი) დღის ვადაში მოამზადოს მოწვევის წერილის პროექტი (დანართი 6), გადასცეს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს დასარეგისტრირებლად და გადაუგზავნოს იგი აპლიკანტს ან მის წარმომადგენელს;

10.5.4. უცხოელ სტუდენტთა ინტეგრაციის კოორდინატორი ვალდებულია სავიზო პროცესის დაწყების შემდგომ იქონიოს მუდმივი კომუნიკაცია აპლიკანტთან ან მის წარმომადგენელთან, პერიოდულად განაახლოს ინფორმაცია მისი სავიზო სტატუსისა და საქართველოში სავარაუდო ჩამოსვლის თარიღის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს დამატებითი დოკუმენტების და წერილების დროული მომზადება და მათი აპლიკანტისთვის ან წარმომადგენლისთვის მიწოდება, საელჩოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადება და გაგზავნა.

10.6. რექტორის ბრძანებით სტუდენტთა ჩარიცხვა (ეტაპი IV):

10.6.1. საქ. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ აპლიკანტისთვის სწავლის უფლების მინიჭებისა და აპლიკანტის მიერ სწავლის საფასურის გადახდის შემდგომ უცხოელ სტუდენტთა ინტეგრაციის კოორდინატორი ამზადებს ჩარიცხვის ბრძანების პროექტს არაუგვიანეს სწავლის დაწყებამდე 1 კვირით ადრე და გადასცემს მას ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს შემდეგი პროცედურების უზრუნველსაყოფად;

10.6.2. ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური ვალდებულია გადასცეს შესაბამისი დარეგისტრირებული ბრძანება შემდეგ პირებს:

ა) დეკანს;
ბ) სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურს
გ) რეესტრის წარმოების კოორდინატორს;
დ) ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახურს

თავი XI. უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტად მიღების წესი

11.1. იმ აბიტურიენტებთან, რომლებმაც უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება მოიპოვეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით, ირიცხებიან სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შედგენილ და უნივერსიტეტისათვის მიმდინარე წელს ოფიციალურად მოწოდებულ კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში და სრულყოფილად წარმოადგინეს ამ ინსტრუქციის 9.1 პუნქტით გათვალისწინებული საბუთები უნივერსიტეტის რექტორის 5.8 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში, საბუთების წარმოდგენისთანავე ფორმდება უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი შესაბამისი პროგრამით სწავლება-სწავლის ხელშეკრულება.

11.2. ხელშეკრულება ფორმდება 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთს საბუთების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, რექტორის მიერ ხელმოწერის შემდეგ, გადასცემს აბიტურიენტს, ხოლო მეორეს - წარმოდგენილ საბუთებთან ერთად, ინახავს მის პირად საქმეში. ხელშეკრულების პროექტს ამზადებს საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელი პირი.

11.3. რექტორის ამ ინსტრუქციის 5.8 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით განსაზღვრულ ვადის ამოწურვის მომდევნო სამუშაო დღეს ფაკულტეტის დეკანი მოამზადებს და წარუდგენს რექტორს ბრძანების პროექტს ფაკულტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიან პროგრამებზე იმ აბიტურიენტთა ჩარიცხვაზე, რომლებთანაც გაფორმდა სწავლება-სწავლის ხელშეკრულებები ამ თავის 11.2 პუნქტის შესაბამისად. რექტორი გამოსცემს ბრძანებას პროექტის წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 30 სექტემბრისა.

11.4. ამ თავის 11.3 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოცემის მომდევნო სამუშაო დღეს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახური ბრძანების ერთ დამოწმებულ ასლს უგზავნის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მეორეს კი გადასცემს სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურს, რომელსაც, მის საფუძველზე, იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს შესაბამისი ჩანაწერები შეაქვს სტუდენტთა ელექტრონულ რეესტრსა - "Unik follow" და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

11.5. თუ ამ თავის 11.3 პუნქტით განსაზღვრული წესით უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიან რომელიმე პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს შესაბამისი პროგრამისთვის მიმდინარე აკადემიურ წელს დაგეგმილ მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას, დამატებული ადგილების რაოდენობა მოაკლდება მომდევნო აკადემიურ წელს მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტს.

11.6. უნივერსიტეტში რექტორის ამ თავის 11.3 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით ჩარიცხული პირები ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამებით სწავლას იწყებენ ბრძანების გამოცემის აკადემიური წლიდან, ბაკალავრიატის შესაბამისი პროგრამით სწავლების პირველი სემესტრიდან.

11.7. თუ აბიტურიენტი ირიცხებოდა სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შედგენილ და უნივერსიტეტისათვის მიმდინარე წელს ოფიციალურად მოწოდებულ კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში, არ/ვერ წარმოადგინა ინსტრუქციის 9.1 პუნქტით გათვალისწინებული საბუთები რექტორის ამ ინსტრუქციის 5.8 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში, მაგრამ წარმოადგინა ისინი მომავალი წლის მაისის ბოლო სამუშაო დღემდე, მასთან, საბუთების წარმოდგენისთანავე, ფორმდება სწავლება-სწავლის ხელშეკრულება ამ თავის 11.1-11.2 პუნქტებით გათვალისწინებული წესით.

11.8. აბიტურიენტი, რომელთანაც სწავლება-სწავლის ხელშეკრულება გაფორმდა ამ თავის 11.7 პუნქტის პირობებით, უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტად ჩაირიცხება რექტორის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა სწავლება-სწავლის ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. ბრძანების პროექტს ამზადებს და წარუდგენს რექტორს ფაკულტეტის დეკანი.

11.9. რექტორის ამ თავის 11.8 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოცემის მომდევნო სამუშაო დღეს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური ბრძანების ერთ დამოწმებულ პირს უგზავნის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მეორეს კი გადასცემს სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურს, რომელსაც, მის საფუძველზე, იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს შესაბამისი ჩანაწერები შეაქვს სტუდენტთა ელექტრონულ რეესტრსა - "Unik follow" და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

11.10. თუ აბიტურიენტის ჩარიცხვისას ამ თავის 11.8 პუნქტით გათვალისწინებული წესით უნივერსიტეტში არ არსებობს სტუდენტის ვაკანტური ადგილი სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში, ეს ადგილი მოაკლდება მომდევნო აკადემიური წლისათვის მისაღებ სტუდენტთა დაგეგმილ რაოდენობას.

11.11. უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტად ამ თავის 11.8 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით ჩარიცხული პირები ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამებით სწავლას იწყებენ ბრძანების გამოცემის მომდევნო აკადემიური წლიდან, ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი შესაბამისი პროგრამით სწავლების პირველი სემესტრიდან.

11.12. პირი, რომელსაც აქვს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტად ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება ამ თავის 2.9 პუნქტის „ა.ბ" ქვეპუნქტის ან 2.11 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის პირობით, თუ გამოცემულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება უნივერსიტეტში მისი ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე მიღებაზე და წარმოდგენილია ამ ინსტრუქციის 9.1 პუნქტით გათვალისწინებულ საბუთები 9.12 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში უნივერსიტეტში ჩაირიცხება რექტორის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა საბუთების წარმოდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

11.13. რექტორის ამ თავის 11.12 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების პროექტს ამზადებს და წარუდგენს რექტორს ფაკულტეტის დეკანი. ბრძანების გამოცემის მომდევნო სამუშაო დღეს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური ბრძანების დამოწმებულ ასლს გადასცემს სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურებს. სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურს იმავე დღეს შესაბამისი ჩანაწერები შეაქვს სტუდენტთა ელექტრონულ რეესტრსა - "Unik follow" და უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში, ხოლო საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური აქვეყნებს ბრძანებას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

11.14. ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების ხელშეკრულება პირთან, რომელიც სტუდენტად ჩაირიცხა რექტორის ამ თავის 11.12 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით, ფორმდება ბრძანების გამოცემიდან 3 დღის ვადაში, ამ თავის 11.1-11.2 პუნქტებით განსაზღვრული წესით.

11.15. უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამების სტუდენტებად ამ თავის 11.12 პუნქტით დადგენილი წესით ჩარიცხული პირები ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლას იწყებენ უნივერსიტეტის რექტორის ამავე პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოცემის მომდევნო აკადემიური წლიდან, ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების პირველი სემესტრიდან.

11.16. საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის პროგრამის სტუდენტი ამ დაწესებულებაში, სულ ცოტა, ერთწლიანი სწავლის შემდეგ ან პირი, რომელიც სწავლობდა საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებში აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის პროგრამით, არ აქვს შეწყვეტილი სტუდენტის სტატუსი და საქართველოს კანონმდებლობით აქვს მობილობის უფლება, უნივერსიტეტში ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამით სასწავლებლად მიიღება რექტორის ბრძანებით, თუ იგი ირიცხება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნებულ იმ პირთა ერთიან სიაში, რომლებმაც გამოხატეს სურვილი უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლაზე და წარმოდგენილი აქვს ამ ინსტრუქციის 9.1 და 9.7 პუნქტებით გათვალისწინებული საბუთები 9.11 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.

11.17. თუ უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამებზე მობილობის მსურველთა განაცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, უნივერსიტეტში ჩარიცხვის

უფლებას მიიღებენ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს.

11.18. თუ უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვისას ამ თავის 11.17 პუნქტით დადგენილი წესით ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულია 2 ან მეტი სტუდენტი, რექტორი, ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანხმობით, იღებს გადაწყვეტილებას აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისათვის ადგილის/ადგილების დამატების თაობაზე.

11.19. იმ შემთხვევაში, როცა სტუდენტად ამ თავის 11.17-11.28 პუნქტებით დადგენილი წესით ჩარიცხვისას უნივერსიტეტში არ არსებობს ვაკანტური ადგილი სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში, რექტორი, სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, დაუყოვნებლივ მიმართავს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომელიც დაუმატებს უნივერსიტეტს სტუდენტთა მისაღებ ადგილებს იმ რაოდენობით, რაც აუცილებელია მობილობის თანაბარქულიანი მსურველების ჩასარიცხად. ამ შემთხვევაში დამატებული ადგილების რაოდენობა გამოაკლდება უნივერსიტეტში მომდევნო აკადემიურ წელს მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას.

11.20. ფაკულტეტის დეკანი და სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურის უფროსი 11.18 და 11.19 პუნქტებით გათვალისწინებულ მოხსენებით ბარათებს რექტორს წარუდგენენ ამ ინსტრუქციის 9.11 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

11.21. უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტებად ამ თავის 11.16 პუნქტით გათვალისწინებულ პირთა ჩარიცხვაზე რექტორის ბრძანების გამოცემამდე, ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი იმ პროგრამის კომიტეტი, რომელზე სწავლის სურვილიც გამოხატა პირმა, რექტორის დავალებით ამზადებს პირის მიერ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამით

სწავლის უკვე მიღწეული შედეგების თავსებადობას უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამასთან ამ ინსტრუქციის XIII თავით დადგენილი წესით, ამ ინსტრუქციის 9.11 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან 5 დღის ვადაში.

11.22. აღიარებას XIII თავით დადგენილი წესით ექვემდებარება მხოლოდ იმ სასწავლო კომპონენტების სწავლით მოპოვებული კრედიტები და შეფასებები, რომლებიც ამ თავის 11.16 პუნქტით განსაზღვრულმა პირმა გაიარა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის /სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამით სწავლისას.

11.23. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი, აღიარებული კომპონენტების, შესაბამისი კრედიტებისა და შეფასებების, უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამით გათვალისწინებული, მომავალში სასწავლი კომპონენტებისა და ასათვისებელი კრედიტების ანალიზის საფუძველზე, ამ თავის 11.21 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 3 დღის ვადაში პროგრამის კომიტეტი ამზადებს დასკვნას იმის თაობაზე, ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამით სწავლების რომელი სემესტრიდან უნდა გააგრძელოს სწავლა 11.16 პუნქტით განსაზღვრულმა პირმა. დასკვნის მომზადებისას პროგრამის კომიტეტი ხელმძღვანელობს შემდეგი წესებით:

ა) იმ სასწავლო კომპონენტების რაოდენობა, რომელთა სწავლებაც სწავლის გაგრძელების სემესტრში გათვალისწინებულია პროგრამის კურიკულუმით, მაგრამ მათი გავლა სტუდენტს არ დაჭირდება, უნდა იყოს მინიმალური;

ბ) იმ სასწავლო კომპონენტების რაოდენობა, რომელთა სწავლებაც სწავლის გაგრძელების სემესტრში არაა გათვალისწინებული პროგრამის კურიკულუმით, მაგრამ მათი გავლა სტუდენტს დაჭირდება, უნდა იყოს მინიმალური;

გ) იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტს შეიძლება დაჭირდეს ისეთი სასწავლო კომპონენტების სწავლა, რომელთა სწავლება სწავლის გაგრძელების სემესტრში ან აკადემიურ წელს არაა გათვალისწინებული, სტუდენტის დატვირთვამ სწავლის გაგრძელების აკადემიურ წელს არ უნდა გადააჭარბოს 75 კრედიტს.

11.24. გადაწყვეტილებას პირის მიერ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამის ფარგლებში უკვე მიღწეული შედეგების თავსებადობაზე უნივერსიტეტის

ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამასთან და ამ თავის 11.23 პუნქტით გათვალისწინებულ დასკვნას პროგრამის კომიტეტი აფორმებს კომიტეტის სხდომის ოქმის სახით. ოქმში გადაწყვეტილება და დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს XIII თავის დებულებათა მიხედვით. ოქმს ხელს აწერს პროგრამის კომიტეტის ყველა წევრი, რომელიც მონაწილეობდა სხდომის მუშაობაში.

11.25. ფაკულტეტის დეკანის ოფისი პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმის შედგენის მომდევნო სამუშაო დღეს ამზადებს რექტორის ბრძანების პროექტს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამებზე ამ თავის 11.16 პუნქტით გათვალისწინებულ პირთა ჩარიცხვაზე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მათი სწავლის შედეგების აღიარებისა და იმ სემესტრების მითითებით, რომლებიდანაც თითოეული მათგანი გააგრძელებს სწავლას უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამით.

11.26. ფაკულტეტის დეკანი რექტორის ამ თავის 11.26 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების პროექტს, მისი მომზადებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, ათანხმებს ამ თავის 11.16 პუნქტით გათვალისწინებულ ყველა იმ პირთან, ვისაც იგი ეხება. შეთანხმება ფორმდება შეთანხმების ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ ფაკულტეტის დეკანი და პირები, რომლებთანაც შეთანხმდა ბრძანების პროექტი.

11.27. ბრძანების პროექტი, პროგრამის კომიტეტის სხდომის ამ თავის 11.30 პუნქტით გათვალისწინებული ოქმისა და შეთანხმების ამ თავის 11.26 პუნქტით გათვალისწინებული ოქმის ასლებთან ერთად წარედგინება რექტორს.

11.28. ამ თავის 11.27 პუნქტით გათვალისწინებული საბუთების წარდგენის მომდევნო სამუშაო დღეს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური, რექტორის დავალებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს უგზავნის რექტორის 11.25 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების პროექტს და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონულ ვერსიას სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დადგენილი ფორმით.

11.29. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ამოწმებს რექტორის ბრძანების პროექტში ასახული სტუდენტების მონაცემების შესაბამისობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მოთხოვნებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრისა და ელექტრონული პორტალის მონაცემებთან და გასცემს დასკვნას ბრძანების პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ.

11.30. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ამ თავის 11.29 პუნქტით გათვალისწინებული დადებითი დასკვნის მიღებისთანავე რექტორი გამოსცემს ბრძანებას ამ თავის 11.27 პუნქტით გათვალისწინებული პროექტის მიხედვით, ამ პროექტში მითითებულ პირთა უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი შესაბამისი პროგრამების სტუდენტებად მიღების თაობაზე.

11.31. ბრძანების გამოცემისთანავე მის თითო დამოწმებულ ასლს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური გადასცემს ფაკულტეტის დეკანის ოფისსა და სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურს, ხოლო ერთს უგზავნის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

11.32. სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური, ბრძანების დამოწმებული ასლის მიღების ან მომდევნო სამუშაო დღეს, შესაბამის მონაცემებს ასახავს სტუდენტთა ელექტრონულ რეესტრსა - “Unik follow” და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

11.33. ამ ამ თავის 11.32 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ბრძანებით ჩარიცხულ სტუდენტებთან ფორმდება უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამებით სწავლება-სწავლის ხელშეკრულებები ამ თავის 11.1-11.2 პუნქტებით დადგენილი წესებით.

11.34. რექტორის ამ თავის 11.32 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით ჩარიცხული სტუდენტი ვალდებულია, ბრძანების გამოცემიდან 20 დღის ვადაში ფაკულტეტის დეკანის ოფისში წარმოადგინოს იმ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანების ამონაწერი მისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტაზე, სადაც იგი სწავლობდა უნივერსიტეტში ჩარიცხვამდე და იმავე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მის პირად საქმეში დაცული ყველა საბუთის დედანი. ამ ვალდებულების დროულად შეუსრულებლობა საფუძველია სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებისა.

11.35. პირი (გარდა ერთობლივი პროგრამის მონაწილე სტუდენტისა), რომელიც სწავლობს ან სწავლობდა და მიღებული აქვს კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამით, თუ გამოცემულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ამ ინსტრუქციის 2.11 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრძანება უნივერსიტეტში მისი ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე მიღებაზე და წარმოდგენილია 9.1 პუნქტით გათვალისწინებული საბუთები 9.12 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, უნივერსიტეტში ჩაირიცხება რექტორის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა საბუთების წარმოდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

11.36. რექტორის 11.35 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების პროექტს ამზადებს ფაკულტეტის დეკანის ოფისი. ბრძანების პროექტში, უნივერსიტეტის მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წარდგენილი, ამ ინსტრუქციის 3.5 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის საფუძველზე, მიეთითება უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამასთან პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა და ის სემესტრი, რომლიდანაც პირი გააგრძელებს სწავლას უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამით.

11.37. რექტორის 11.35 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოცემის დღესვე ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური მის თითო დამოწმებულ ასლს გადასცემს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურებს.

11.38. ბრძანების ასლის მიღების დღესვე სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურს შესაბამისი ჩანაწერები შეაქვს სტუდენტთა ელექტრონულ რეესტრსა - “Unik follow” და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში, ხოლო საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური აქვეყნებს მას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

11.39. უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიან პროგრამაზე სწავლება-სწავლის ხელშეკრულება ამ თავის 11.35 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით ჩარიცხულ პირებთან ფორმდება ბრძანების გამოცემიდან 3 დღის ვადაში, ამ თავის 11.1-11.2 პუნქტებით დადგენილი წესებით.

11.40. საქართველოს მოქალაქე, რომელმაც უმაღლესი განათლება მიიღო/იღებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე 1989 წლის შემდეგ, უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტად მიიღება რექტორის ბრძანებით, თუ წარმოდგენილი აქვს ამ ინსტრუქციის 9.1 და 9.2 პუნქტებით გათვალისწინებული საბუთები.

11.41. ამ თავის 11.40 პუნქტით გათვალისწინებული პირი უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტად მიიღება, თუ არსებობს ვაკანტური ადგილი სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში, რაც უნდა დადასტურდეს სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათით, რომელიც წარედგინება რექტორს ამ ინსტრუქციის 9.1 და 9.2 პუნქტებით გათვალისწინებული საბუთების წარმოდგენის მომდევნო 3 სამუშაო დღის ვადაში.

11.42. უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტად ამ თავის 11.33 პუნქტით გათვალისწინებული პირის ჩარიცხვაზე რექტორის ბრძანების გამოცემამდე, სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურის უფროსის 11.41 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის წარდგენიდან 5 დღის ვადაში, ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი იმ პროგრამის კომიტეტი, რომელზე სწავლის სურვილიც გამოხატა პირმა, რექტორის დავალებით, ამზადებს გადაწყვეტილებას პირის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე უმაღლესი განათლების პროგრამით სწავლის უკვე მიღწეული შედეგების თავსებადობაზე უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიან პროგრამასთან ამ ინსტრუქციის XIII თავით დადგენილი წესით.

11.43. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე უმაღლესი განათლების პროგრამით სწავლის ფარგლებში ნასწავლი/გავლილი, აღიარებული კომპონენტების, შესაბამისი კრედიტებისა და შეფასებების, უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამით გათვალისწინებული, მომავალში სასწავლი კომპონენტებისა და ასათვისებელი კრედიტების ანალიზის საფუძველზე, ამ თავის 11.42 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 3 დღის ვადაში პროგრამის კომიტეტი ამზადებს დასკვნას იმის თაობაზე, ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების რომელი სემესტრიდან უნდა გააგრძელოს სწავლა 11.40 პუნქტით განსაზღვრულმა პირმა. დასკვნის

მომზადებისას პროგრამის კომიტეტი ხელმძღვანელობს ამ თავის 11.23 პუნქტით დადგენილი წესებით.

11.44. გადაწყვეტილებას პირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უკვე მიღწეული შედეგების თავსებადობაზე უნივერსიტეტის ბაკალავრიატის პროგრამასთან და ამ თავის 11.43 პუნქტით გათვალისწინებულ დასკვნას პროგრამის კომიტეტი აფორმებს კომიტეტის სხდომის ოქმის სახით. ოქმში გადაწყვეტილება და დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს XIII თავის დებულებათა მიხედვით. ოქმს ხელს აწერს პროგრამის კომიტეტის ყველა წევრი, რომელიც მონაწილეობდა სხდომის მუშაობაში.

11.45. ფაკულტეტის დეკანის ოფისი პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმის შედგენის მომდევნო სამუშაო დღეს ამზადებს რექტორის ბრძანების პროექტს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიან პროგრამაზე ამ თავის 11.40 პუნქტით გათვალისწინებული პირის ჩარიცხვაზე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მისი სწავლის შედეგების აღიარებისა და იმ სემესტრის მითითებით, რომლიდანაც გააგრძელებს სწავლას უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამით.

11.46. ფაკულტეტის დეკანი რექტორის ამ თავის 11.45 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების პროექტს, მისი მომზადებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, ათანხმებს სტუდენტად ჩასარიცხ პირთან. შეთანხმება ფორმდება შეთანხმების ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ ფაკულტეტის დეკანი და პირი, რომელთანაც შეთანხმდა ბრძანების პროექტი.

11.47. ბრძანების პროექტი, პროგრამის კომიტეტის სხდომის ამ თავის 11.44 პუნქტით გათვალისწინებული ოქმისა და შეთანხმების ამ თავის 11.45 პუნქტით გათვალისწინებული ოქმის ასლებთან ერთად წარედგინება რექტორს.

11.48. ამ თავის 11.47 პუნქტით გათვალისწინებული საბუთების მიღებისთანავე რექტორი გამოსცემს ბრძანებას 11.40 პუნქტით განსაზღვრული პირის უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტად ჩარიცხვის თაობაზე.

11.49. ბრძანების გამოცემისთანავე მის თითო დამოწმებულ ასლს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური გადასცემს ფაკულტეტის დეკანის ოფისსა და სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურს,

ხოლო თითოს უგზავნის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

11.50. სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური, ბრძანების დამოწმებული ასლის მიღების ან მომდევნო სამუშაო დღეს, შესაბამის მონაცემებს ასახავს სტუდენტთა ელექტრონულ რეესტრსა - "Unik follow" და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

თავი XII. უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტად მიღების წესი

12.1. მაგისტრანტობის კანდიდატები, რომლებმაც უნივერსიტეტის სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების უფლება მოიპოვეს საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგებით, ირიცხებიან სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შედგენილ და უნივერსიტეტისათვის მიმდინარე წელს ოფიციალურად მოწოდებულ საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპის შესაბამის სიაში და სრულყოფილად წარმოადგინეს ამ ინსტრუქციის 9.1 და 9.3 პუნქტებით გათვალისწინებული საბუთები რექტორის 6.15 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში, უნივერსიტეტის მიერ ჩასატარებელ სამაგისტრო გამოცდაზე დაიშვებიან ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა საბუთების წარმოდგენის 6.15 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით განსაზღვრული ვადის ამოწურვის მომდევნო სამუშაო დღეს.

12.2. ფაკულტეტის დეკანის ამ თავის 12.1 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების პროექტს ამზადებს ფაკულტეტის დეკანის ოფისი. ბრძანებით განისაზღვრება მაგისტრანტობის თითოეული კანდიდატის გამოცდის ზუსტი თარიღი, დრო და უნივერსიტეტის შენობის ის აუდიტორია, სადაც გამოცდა უნდა ჩატარდეს.

12.3. ფაკულტეტის დეკანის ბრძანების გამოცემისთანავე ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის მის დამოწმებულ პირს გადასცემს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, რომელიც დაუყოვნებლივ აქვეყნებს მას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

12.4. სამაგისტრო გამოცდა ტარდება უნივერსიტეტის შენობაში, ფაკულტეტის დეკანის ამ თავის 12.1 პუნქტით გათვალისწინებულ ბრძანებაში მითითებულ დროსა და აუდიტორიაში. გამოცდის მიმდინარეობისას საგამოცდო აუდიტორიაში ყოფნის უფლება, მაგისტრანტობის გამოსაცდელი კანდიდატების გარდა, აქვთ მხოლოდ გამოცდის პროცესის ადმინისტრატორსა და მისი თანაშემწეებს, რომელთა ვინაობა განისაზღვრება ფაკულტეტის დეკანის ამ ინსტრუქციის 6.19 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით.

12.5. მაგისტრანტობის კანდიდატმა სამაგისტრო გამოცდაზე დასაშვებად უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. გამოცდის პროცესის ადმინისტრატორი ამოწმებს გამოცდაზე გამოცხადებული პირის ვინაობას და შესაბამისი აღნიშვნა შეაქვს მაგისტრანტობის გამოსაცდელ კანდიდატთა სიაში. დაგვიანებული მაგისტრანტობის კანდიდატი გამოცდაზე არ დაიშვება.

12.6. საგამოცდო აუდიტორიაში მაგისტრანტს თან შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ საწერი კალამი, პირადობის დამადასდასტურებელი დოკუმენტი, სასმელი წყალი და პირადი ჰიგიენის საგნები. სხვა ნივთების ქონა ან/და გამოყენება, აგრეთვე გამოცდის დროს ხმაური, გამოლაპარაკება სხვა მაგისტრანტობის კანდიდატებთან ან მათთვის სხვაგვარად ხელის შეშლა გამოიწვევს მაგისტრანტობის კანდიდატის გამოცდიდან მოხსნას. ამ შემთხვევაში გამოცდის პროცესის ადმინისტრატორს შესაბამისი აღნიშვნა შეაქვს მაგისტრანტობის გამოსაცდელ კანდიდატთა სიაში.

12.7. გამოცდიდან მოხსნილი მაგისტრანტობის კანდიდატის საგამოცდო ნაშრომი არ შეფასდება.

12.8. გამოცდის დასრულებისთანავე გამოცდის პროცესის ადმინისტრატორი ყველა საგამოცდო ნაშრომს მაგისტრანტობის გამოსაცდელ კანდიდატთა სიასთან ერთად ლუქავს ქაღალდის ერთ პაკეტში და აბარებს ფაკულტეტის დეკანს.

12.9. მაგისტრანტობის კანდიდატების საგამოცდო ნაშრომებს გამოცდის მომდევნო სამუშაო დღეს აფასებენ სამაგისტრო გამოცდის ნაშრომების შემფასებლები აკადემიური საბჭოს მიერ 6.11 პუნქტის შესაბამისად დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით.

12.10. საგამოცდო ნაშრომებს შემფასებლებს შორის ანაწილებს ფაკულტეტის დეკანი.

12.11. შემფასებლებს სამაგისტრო გამოცდის ნაშრომების შეფასების შედეგები შეაქვთ სამაგისტრო გამოცდის ნაშრომების შეფასების უწყისში, რომელსაც ამზადებს ფაკულტეტის დეკანის ოფისი სამაგისტრო გამოცდის წინა დღეს.

11.12. სამაგისტრო გამოცდის ნაშრომების შეფასების უწყისის ფორმასა და მისი შევსების წესს ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. ბრძანების პროექტს ამზადებს ფაკულტეტის დეკანის ოფისი.

12.13. შეფასებული საგამოცდო ნაშრომები და შევსებული უწყისი ბარდება ფაკულტეტის დეკანს, რომელიც უწყისის ქსეროასლს დაუყოვნებლივ გადასცემს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური

უწყისის ქსეროასლის მიღებისთანავე აქვეყნებს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ინფორმაციას სამაგისტრო გამოცდებზე მაგისტრანტობის კანდიდატების შეფასებათა შესახებ. ინფორმაციაში მიეთითება მხოლოდ მაგისტრანტობის კანდიდატის პირადი ნომერი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით და შეფასების ქულა.

12.14. მაგისტრანტობის კანდიდატს უფლება აქვს, მიიღოს თავისი შეფასებული ნაშრომის ქსეროასლი და გააპროტესტოს შეფასება ამ თავის 12.13 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მომდევნო 3 დღის ვადაში. ამისათვის მან წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს. წერილობით განცხადებაში ზუსტად უნდა იყოს მითითებული, კონკრეტულად რა და რატომ პროტესტდება. ამის გარეშე საგამოცდო ნაშრომი თავიდან არ შეფასდება.

12.15. გაპროტესტებულ საგამოცდო ნაშრომებს თავიდან აფასებს საპრეტენზიო საბჭო ამ თავის 12.14 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის მომდევნო სამუშაო დღეს, ამ 6.11 პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუქციის მიხედვით.

12.16. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება საპრეტენზიო საბჭოს შეაქვს გაპროტესტებული სამაგისტრო გამოცდის გაპროტესტებული ნაშრომების შეფასების უწყისში, რომელსაც, შეფასებულ ნაშრომებთან ერთად აბარებს ფაკულტეტის დეკანს.

12.17. სამაგისტრო გამოცდის გაპროტესტებული საგამოცდო ნაშრომების შეფასების უწყისისა და ბიულეტენის ფორმას და მათი შევსების წესს ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. ბრძანების პროექტს ამზადებს ფაკულტეტის დეკანის ოფისი.

12.18. ინფორმაცია საპრეტენზიო საბჭოს მიერ სამაგისტრო გამოცდის გაპროტესტებული საგამოცდო ნაშრომების შეფასების შესახებ დაუყოვნებლივ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ამ თავის 12.13 პუნქტით განსაზღვრული წესით.

12.19. საპრეტენზიო საბჭოს შეფასება საბოლოოა.

12.20. საპრეტენზიო საბჭო საქმიანობს აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლის შედეგების შემფასებელი კომისიებისათვის უნივერსიტეტის დებულებით დადგენილი წესებით.

12.21.ფაკულტეტის დეკანის ოფისი, სამაგისტრო გამოცდის საგამოცდო ნაშრომების შეფასების უწყისის ან, თუ ასეთი არსებობს, სამაგისტრო გამოცდის გაპროტესტებული საგამოცდო ნაშრომების შეფასების უწყისის შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნების მომდევნო სამუშაო დღეს ამზადებს სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტების პროექტებს.

12.22. სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში მოხვდება მხოლოდ მაგისტრანტობის ის კანდიდატი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სამაგისტრო გამოცდა - მისი საგამოცდო ნაშრომის შეფასებამ გადააჭარბა სამაგისტრო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, განსაზღვრულს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 6.11 პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუქციით.

12.23. სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტები (პროექტები) დგება მაგისტრანტობის კანდიდატების საკონკურსო ქულების საფუძველზე, მაგისტრატურის შესაბამის პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა გამოცხადებული ადგილების რაოდენობის, მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ მიღებული ნორმირებული ქულის, უნივერსიტეტის მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისთვის ან/და სამაგისტრო გამოცდისათვის მინიჭებული კოეფიციენტების და საერთო სამაგისტრო გამოცდის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

12.24. თუ უნივერსიტეტს საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის მინიჭებული აქვს კოეფიციენტი, მაგისტრანტობის კანდიდატის საკონკურსო ქულა გამოითვლება შემდეგი წესით:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ უნივერსიტეტში ჩატარებულ სამაგისტრო გამოცდაში მიღებული ქულა იყოფა ამ გამოცდის შეფასების მაქსიმალურ შესაძლებელ ქულაზე და მიიღება სამაგისტრო გამოცდის ნორმირებული ქულა;

ბ) სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მაგისტრანტობის კანდიდატისათვის საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგად ტესტის თითოეული ნაწილისათვის მინიჭებული ნორმირებული ქულა მრავლდება უნივერსიტეტის მიერ ტესტის ამ ნაწილისათვის განსაზღვრულ კოეფიციენტზე, ხოლო უნივერსიტეტის სამაგისტრო გამოცდის ნორმირებული ქულა - უნივერსიტეტის მიერ ამ გამოცდისთვის განსაზღვრულ კოეფიციენტზე, რის შედეგადაც მიიღება საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის თითოეული ნაწილისა და უნივერსიტეტის სამაგისტრო გამოცდის შეფასების კონკრეტული ქულები;

გ) მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებში და უნივერსიტეტში ჩატარებულ სამაგისტრო გამოცდაში მიღებული, ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კონკრეტული ქულები ჯამდება და მიიღება მაგისტრანტობის კანდიდატის საკონკურსო ქულა.

12.25. თუ უნივერსიტეტს საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის არ აქვს მინიჭებული კოეფიციენტი, მაგისტრანტობის კანდიდატის საკონკურსო ქულა გამოითვლება შემდეგი წესის დაცვით:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ უნივერსიტეტში ჩატარებულ სამაგისტრო გამოცდაში მიღებული ქულა იყოფა ამ გამოცდის შეფასების მაქსიმალურ შესაძლებელ ქულაზე და მიიღება სამაგისტრო გამოცდის ნორმირებული ქულა;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნორმირებული ქულა გამრავლდება 100-ზე და მიიღება მაგისტრანტობის კანდიდატის საკონკურსო ქულა.

12.26. მაგისტრატურის თითოეული პროგრამისათვის სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში (პროექტში) შეტანილ უნდა იქნეს ამ თავის 12.24 და 12.25 პუნქტებით გათვალისწინებული ყველა ქულა და კოეფიციენტი.

12.27. სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში პირველ ნომრად იწერება მაგისტრანტობის ის კანდიდატი, რომლის საკონკურსო ქულა სხვებზე მეტია, ბოლო ნომრად - ის, რომლის საკონკურსო ქულაც სხვებზე ნაკლებია. თუ რამოდენიმე კანდიდატის საკონკურსო ქულები ერთნაირია, დოკუმენტში წინ იწერება ის, რომელსაც უკეთესი შეფასება აქვს საერთო სამაგისტრო გამოცდაში. თუ ეს შეფასებებიც ერთნაირია, მაგისტრანტობის კანდიდატები დოკუმენტში ლაგდებიან ანბანური თანმიმდევრობით, გვარის მიხედვით.

12.28. სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტები მტკიცდება რექტორის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა მისთვის დოკუმენტების პროექტის წარდგენის ან მომდევნო დღეს. ბრძანების პროექტს ადგენს ფაკულტეტის დეკანი და წარუდგენს რექტორს სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტების პროექტებთან ერთად.

12.29. სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტები, რომელსაც ხელს აწერენ უნივერსიტეტის რექტორი და ფაკულტეტის დეკანი, არის რექტორის ამ თავის 12.28 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების დანართები.

12.30. რექტორის ამ თავის 12.28 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების დამოწმებულ ასლს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური, ბრძანების გამოცემის დღესვე, გადასცემს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, რომელიც დაუყოვნებლივ აქვეყნებს მას (დანართების გარეშე) უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

12.31. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც ირიცხება სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების გამოქვეყნებულ დოკუმენტში, თუ სურს, ჩაირიცხოს უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტად, ვალდებულია, დოკუმენტის გამოქვეყნების მომდევნო 5 დღის ვადაში გამოცხადდეს ფაკულტეტის დეკანის ოფისში უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამით სწავლება-სწავლის ხელშეკრულების გასაფორმებლად და წარმოადგინოს ამ ინსტრუქციის 9.1 პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის დედანი, რომელსაც დაიტოვებს საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელი პირი.

12.32. ამ თავის 12.31 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატი ამოღებულ იქნება სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტიდან და დაკარგავს უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას. ფაკულტეტის დეკანის ოფისი ვალდებულია, უნივერსიტეტის რექტორის 12.28 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოქვეყნების დღესვე პირადად, ტელეფონით გააფრთხილოს ამის შესახებ მაგისტრანტობის კანდიდატები, რომლებიც ირიცხებიან სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტებში.

12.33. უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამით სწავლება-სწავლის ხელშეკრულებები მაგისტრანტობის კანდიდატებთან, რომლებიც შეასრულებენ ამ თავის 12.31 პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, ფორმდება მაგისტრანტობის კანდიდატის ფაკულტეტის დეკანის ოფისში გამოცხადებისთანავე. ხელშეკრულება ფორმდება 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთს საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელი პირი გადასცემს მაგისტრანტობის კანდიდატს, ხოლო მეორეს იტოვებს სტუდენტის პირად საქმეში შესანახად. ხელშეკრულების პროექტს ამზადებს საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელი პირი.

12.34. ამ თავის 12.28 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოქვეყნების შემდეგ, არაუგვიანეს 4 ოქტომბრისა, რექტორი გამოსცემს ბრძანებას უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამების სტუდენტებად მაგისტრანტობის იმ კანდიდატთა ჩარიცხვის შესახებ, რომლებთანაც გაფორმდა სწავლება-სწავლის ხელშეკრულებები. ბრძანების პროექტს ამზადებს ფაკულტეტის დეკანის ოფისი. ბრძანებაში მიეთითება მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი და საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის უფლება.

12.35. უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამით სასწავლებლად მიიღებიან მაგისტრანტობის კანდიდატები ამ ინსტრუქციის 6.4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული რაოდენობის ფარგლებში - სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში პირველ ნომრად ჩაწერილი და მისი მომდევნოები თანმიმდევრობით.

12.36. თუ მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის პროცესში აღმოჩნდება, რომ ბოლო ადგილზე თანაბარი ჩარიცხვის უფლება აქვს ორ ან მეტ მაგისტრანტობის კანდიდატს, უნივერსიტეტის რექტორი იღებს გადაწყვეტილებას მისაღებ სტუდენთა ადგილების მთლიანი რაოდენობის ფარგლებში მაგისტრატურის ამ საგანმანათლებლო პროგრამისთვის ადგილების დამატების თაობაზე.

12.37. იმ შემთხვევაში, თუ ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მიმდინარე წელს მისაღები სტუდენტების რაოდენობას, დამატებული სტუდენტების რაოდენობა მოაკლდება უნივერსიტეტში მომდევნო აკადემიურ წელს მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტს.

12.38. ამ თავის 12.36 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება აისახება რექტორის 11.34 პუნქტით გათვალისწინებულ ბრძანებაში.

12.39. რექტორის ამ თავის 12.34 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების თითო დამოწმებულ ასლს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური, ბრძანების გამოცემის დღესვე, არაუგვიანეს 4 ოქტომბრისა, გადასცემს ფაკულტეტის დეკანის ოფისს, სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურებს, ხოლო თითოს, რექტორის თანმხლები წერილით, უგზავნის სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს (ფოსტით ან კურიერის მეშვეობით) და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (ელექტრონული ფოსტით).

12.40. სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურს რექტორის ბრძანების ამ თავის 12.39 პუნქტით გათვალისწინებული ასლის მიღების დღესვე შესაბამისი ჩანაწერები შეაქვს სტუდენტთა ელექტრონულ რეესტრსა - “Unik follow” და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში, ხოლო საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური აქვეყნებს მას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

12.41. სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური, რექტორის თანმხლები წერილით, რომლის პროექტსაც ამზადებს თვითონ, ჩარიცხულ

მაგისტრანტთა მონაცემების საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში ასახვის მომდევნო 2 დღის ვადაში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ელექტრონული ფოსტით უგზავნის ინფორმაციას უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამებზე ჩარიცხული პირების შესახებ ცენტრის დირექტორის ბრძანებით დადგენილი ფორმით.

12.42. რექტორის ამ თავის 12.34 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით ჩარიცხული მაგისტრანტები უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამებით სწავლას იწყებენ ბრძანების გამოცემის აკადემიური წლიდან, მაგისტრატურის შესაბამისი პროგრამით სწავლების პირველი სემესტრიდან.

12.43. პირი, რომელსაც აქვს უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტად ჩარიცხვის უფლება საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ამ ინსტრუციის 2.9 პუნქტის „ბ.ბ“, „ბ.გ“ ან 2.11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობით, თუ გამოცემულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება უნივერსიტეტის სტუდენტად მისი სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მიღებაზე და წარმოდგენილია ამ ინსტრუქციის 9.1 პუნქტით გათვალისწინებულ საბუთები 9.12 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტად ჩაირიცხება რექტორის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა საბუთების წარმოდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

12.44. რექტორის ამ თავის 12.43 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების პროექტს ამზადებს ფაკულტეტის დეკანის ოფისი. ბრძანების გამოცემისთანავე ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური მის დამოწმებულ ასლებს გადასცემს სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურებს.

12.45. სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურს, რექტორის ამ თავის 12.43 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების ასლის მიღების დღესვე, შესაბამისი ჩანაწერები შეაქვს სტუდენტთა ელექტრონულ რეესტრსა - “Unik follow” და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში, ხოლო საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური აქვეყნებს მას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

12.46. უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამით სწავლება-სწავლის ხელშეკრულება მაგისტრანტობის კანდიდატთან, რომელიც სტუდენტად ჩაირიცხა რექტორის 12.43 პუქტით გათვალისწინებული ბრძანებით, ფორმდება ბრძანების გამოცემიდან 3 დღის ვადაში, ამ თავის 12.33 პუნქტით განსაზღვრული წესით.

12.47. უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტებად ამ თავის 12.43 პუნქტის პირობებით ჩარიცხული პირები მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლას იწყებენ უნივერსიტეტის რექტორის ამავე პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოცემის მომდევნო აკადემიური წლიდან, მაგისტრატურის შესაბამისი პროგრამით სწავლების პირველი სემესტრიდან.

12.48. საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტი ამ დაწესებულებაში მაგისტრატურის პროგრამით, სულ ცოტა, ერთწლიანი სწავლის შემდეგ ან პირი, რომელიც სწავლობდა საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით, არ აქვს შეწყვეტილი სტუდენტის სტატუსი და საქართველოს კანონმდებლობით აქვს მობილობის უფლება, უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით სასწავლებლად მიიღება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, თუ იგი ირიცხება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნებულ იმ პირთა სიაში, რომლებმაც გამოხატეს სურვილი უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამით სწავლაზე და წარმოდგენილი აქვს ამ ინსტრუქციის 9.1 და 9.7 პუნქტებით გათვალისწინებული საბუთები 9.11 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.

12.49. თუ უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამებზე მობილობის მსურველთა განაცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს.

12.50. თუ ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულია 2 ან მეტი პირი, რექტორი, ფალულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანხმობით, იღებს გადაწყვეტილებას მაგისტრატურის შესაბამისი პროგრამისათვის ადგილის/ადგილების დამატების თაობაზე.

12.51. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტში არ არსებობს ვაკანტური ადგილი სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში, რექტორი, სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, დაუყოვნებლივ მიმართავს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომელიც დაუმატებს უნივერსიტეტს სტუდენტთა მისაღებ

ადგილებს იმ რაოდენობით, რაც აუცილებელია მობილობის თანაბარქულიანი მსურველების ჩასარიცხად. ამ შემთხვევაში დამატებული ადგილების რაოდენობა გამოაკლდება უნივერსიტეტში მომდევნო აკადემიურ წელს მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას.

12.52. ფაკულტეტის დეკანი და სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურის უფროსი ამ თავის 12.50 და 12.51 პუნქტებით გათვალისწინებულ მოხსენებით ბარათებს რექტორს წარუდგენენ ინსტრუქციის 9.11 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

12.53. უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამების სტუდენტებად ამ თავის 12.48 პუნქტით გათვალისწინებულ პირთა მიღებაზე რექტორის ბრძანების გამოცემამდე, ამ ინსტრუქციის 9.11 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან 5 დღის ვადაში, მაგისტრატურის იმ საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტი, რომელზე სწავლის სურვილიც გამოხატა პირმა, რექტორის დავალებით ადგენს პირის მიერ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის პროგრამის ფარგლებში სწავლის უკვე მიღწეული შედეგების თავსებადობას უნივერსიტეტის მაგისტრატურის შესაბამის პროგრამასთან ამ ინსტრუქციის XIII თავით დადგენილი წესით.

12.54. აღიარებას ინსტრუქციის XIII თავით დადგენილი წესით ექვემდებარება მხოლოდ იმ სასწავლო კომპონენტების სწავლით მოპოვებული კრედიტები და შეფასებები, რომლებიც პირმა ისწავლა/გაიარა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაგისტრატურის პროგრამით სწავლისას.

12.55. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი, აღიარებული კომპონენტების, შესაბამისი კრედიტებისა და შეფასებების და უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამით გათვალისწინებული, მომავალში სასწავლი კომპონენტებისა და შესაბამისი ასათვისებელი კრედიტების ანალიზის საფუძველზე, ამ თავის 12.53 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 3 დღის ვადაში პროგრამის კომიტეტი ამზადებს დასკვნას იმის თაობაზე, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების რომელი სემესტრიდან უნდა გააგრძელოს სწავლა ამ თავის 12.48 პუნქტით განსაზღვრულმა პირმა.

12.56. გადაწყვეტილებას პირის მიერ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის პროგრამის ფარგლებში სწავლის უკვე მიღწეული შედეგების თავსებადობაზე უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამასთან და 12.55 პუნქტით გათვალისწინებულ დასკვნას აფორმებს პროგრამის კომიტეტი .

12.57. ფაკულტეტის დეკანის ოფისი პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმის შედგენის მომდევნო სამუშაო დღეს ამზადებს რექტორის ბრძანების პროექტს უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამების სტუდემტებად ამ თავის 12.48 პუნქტით გათვალისწინებულ პირთა ჩარიცხვაზე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მათი სწავლის შედეგების აღიარებისა და იმ სემესტრების მითითებით, რომლებიდანაც თითოეული მათგანი გააგრძელებს სწავლას უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამით.

12.58. რექტორის ბრძანება ამ თავის 12.49 პუნქტით გათვალისწინებულ პირთა უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამების სტუდენტებად ჩარიცხვის შესახებ მზადდება, გამოიცემა, ქვეყნდება და იგზავნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული წესებითა და პროცედურებით.

12.59. ამ თავის 12.58 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში უნივერსიტეტის მაგისტრატურის შესაბამისი პროგრამით სწავლება-სწავლის ხელშეკრულება ბრძანებით ჩარიცხულ სტუდენტებთან ფორმდება 12.33 პუნქტით დადგენილი წესით.

12.60. რექტორის ამ თავის 12.58 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით ჩარიცხული სტუდენტი ვალდებულია, ბრძანების გამოცემიდან 20 დღის ვადაში ფაკულტეტის დეკანის ოფისში წარმოადგინოს იმ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანების ამონაწერი მისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტაზე, სადაც იგი სწავლობდა უნივერსიტეტში ჩარიცხვამდე და იმავე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მის პირად საქმეში დაცული ყველა საბუთის დედანი. ამ ვალდებულების დროულად შეუსრულებლობა საფუძველია სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა.

12.61. პირი (გარდა ერთობლივი პროგრამის მონაწილე სტუდენტისა), რომელიც სწავლობს ან სწავლობდა და მიღებული აქვს კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში (აკადემიური უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლისას), თუ გამოცემულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ამ ინსტრუქციის 2.11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრძანება უნივერსიტეტის სტუდენტად მისი სამაგისტრო გამოცდების გარეშე მიღებაზე და წარმოდგენილია ამ ინსტრუქციის 9.1 პუნქტით გათვალისწინებული საბუთები 9.12 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, უნივერსიტეტის

მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტად ჩაირიცხება რექტორის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა საბუთების წარმოდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

12.62. რექტორის ამ თავის 12.61 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების პროექტს ამზადებს ფაკულტეტის დეკანის ოფისი.

12.63. ბრძანების პროექტში, უნივერსიტეტის მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წარდგენილი, ამ ინსტრუქციის 3.5 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის საფუძველზე, მიეთითება უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამასთან პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა და ის სემესტრი, რომლიდანაც პირი გააგრძელებს სწავლას უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამით.

12.64. რექტორის ამ თავის 12.61 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოცემისთანავე ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური მის თითო დამოწმებულ ასლს გადასცემს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურებს.

12.65. სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურს რექტორის ბრძანების 12.64 პუნქტით გათვალისწინებული ასლის მიღების დღესვე შესაბამისი ჩანაწერები შეაქვს სტუდენტთა ელექტრონულ რეესტრსა - "Unik follow" და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში, ხოლო საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური აქვეყნებს მას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

12.66. უნივერსიტეტის მაგისტრატურის შესაბამისი პროგრამით სწავლება-სწავლის ხელშეკრულება ამ თავის 12.61 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით ჩარიცხულ პირებთან ფორმდება ბრძანების გამოცემიდან 3 დღის ვადაში, ამ თავის 12.33 პუნქტით განსაზღვრული წესით.

12.67. უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 2005 წლის 10 იანვრამდე და აქვს საქართველოში გაცემული, სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ გამოცემულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ამ ინსტრუქციის 2.9 პუნქტის „ბ.გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრძანება უნივერსიტეტის სტუდენტად მისი საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე მიღებაზე და წარმოდგენილია ამ ინსტრუქციის 9.1 პუნქტით გათვალისწინებული საბუთები 9.12 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტად ჩაირიცხება

უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

12.68. ამ თავის 12.67 პუნქტით გათვალისწინებული მაგისტრანტობის კანდიდატი უახლოეს სამაგისტრო გამოცდაზე დაიშვება რექტორის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა საბუთების წარმოდგენის მომდევნო სამუშაო დღეს. ბრძანების პროექტს ამზადებს ფაკულტეტის დეკანის ოფისი.

12.69. ამ თავის 12.67 პუნქტით გათვალისწინებული მაგისტრანტობის კანდიდატი სამაგისტრო გამოცდას აბარებს მაგისტრანტობის სხვა კანდიდატებთან ერთად.

12.70. თუ მაგისტრანტობის კანდიდატი წარმატებით ჩააბარებს უნივერსიტეტის სამაგისტრო გამოცდას - მისი საგამოცდო ნაშრომის შეფასება გადააჭარბებს სამაგისტრო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, განსაზღვრულს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, იგი ჩაირიცხება უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტად რექტორის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

12.71. რექტორის ამ თავის 12.70 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების პროექტს ამზადებს ფაკულტეტის დეკანის ოფისი.

12.72. ბრძანების გამოცემისთანავე ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური მის თითო დამოწმებულ ასლს გადასცემს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურებს.

12.73. რექტორის ბრძანების ამ თავის 12.72 პუნქტით გათვალისწინებული ასლის მიღების დღესვე სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურს მისი შესაბამისი ჩანაწერები შეაქვს სტუდენტთა ელექტრონულ რეესტრსა - “Unik follow” და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში, ხოლო საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური აქვეყნებს მას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

12.74. უნივერსიტეტის მაგისტრატურის შესაბამისი პროგრამით სწავლება-სწავლის ხელშეკრულება ამ თავის 12.70 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით ჩარიცხულ პირთან ფორმდება ბრძანების გამოცემიდან 3 დღის ვადაში, ამ თავის 12.33 პუნქტით დადგენილი წესით.

12.75. უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტად ამ თავის 12.70 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით ჩარიცხული პირი მაგისტრატურის პროგრამით

სწავლას იწყებს სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების აკადემიური წლიდან, მაგისტრატურის შესაბამისი პროგრამით სწავლების პირველი სემესტრიდან.

თავი XIII. უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტად მიღების წესი

13.1. დოქტორანტობის კანდიდატები, რომლებსაც აქვთ სურვილი, ჩაირიცხონ უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტად უნივერსიტეტის სადოქტორო გამოცდის შედეგებით, სრულყოფილად წარმოადგინეს ამ ინსტრუქციის 9.1 და 9.4-9.5 პუნქტებით გათვალისწინებული საბუთები რექტორის 7.8 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში, უნივერსიტეტის მიერ ჩასატარებელ გასაუბრებაზე, გერმანული, ფრანგული ან ინგლისური ენის გამოცდასა და სადოქტორო გამოცდაზე დაიშვებიან ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა საბუთების მიღებისათვის რექტორის 7.8 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით განსაზღვრული ვადის ამოწურვის მომდევნო სამუშაო დღეს.

13.2. ფაკულტეტის დეკანის ამ თავის 13.1 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების პროექტს ამზადებს ფაკულტეტის დეკანის ოფისის დოქტორანტურის პროგრამების მენეჯერი.

13.4. ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით განისაზღვრება დოქტორანტობის თითოეული კანდიდატის გასაუბრების/გამოცდების ზუსტი თარიღი, დრო და უნივერსიტეტის შენობის ის აუდიტორია, სადაც გასაუბრება/გამოცდა უნდა ჩატარდეს.

13.5. ფაკულტეტის დეკანის ბრძანების გამოცემისთანავე ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური მის დამოწმებულ ასლს გადასცემს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, რომელიც დაუყოვნებლივ აქვეყნებს მას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

13.6. თუ დოქტორანტობის კანდიდატმა უნდა გაიროს გასაუბრება ამ ინსტრუქციის 7.2 პუნქტის პირობით, იგი ვალდებულია, გამოცხადდეს გასაუბრებაზე ფაკულტეტის დეკანის 13.1 პუნქტით გათვალისწინებულ ბრძანებაში მითითებულ დროს და ადგილზე და წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

13.7. გასაუბრება ტარდება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე. სხდომის დაწყების წინ ფაკულტეტის დეკანის ოფისის დოქტორანტურის პროგრამების მენეჯერი საბჭოს თავმჯდომარეს გადასცემს დოქტორანტობის კანდიდატის

(კანდიდატების) გასაუბრებით შეფასების უწყისსა და ბიულეტენებს, რომლებსაც ამზადებს გასაუბრების წინა სამუშაო დღეს. საბჭოს თავმჯდომარე საბჭოს თითოეულ წევრს გადასცემს შეფასების ერთ ბიულეტენს.

13.8. შეფასების უწყისისა და ბიულეტენის ფორმა და შევსების წესი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

13.9. გასაუბრებისას სადისერტაციო საბჭოს წევრები ისმენენ და ქულებით აფასებენ დოქტორანტობის კანდიდატის მოხსენებას მისი საკვლევი თემის ირგვლივ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) პრობლემის იდენტიფიცირება:

- პრობლემა მკაფიოდ და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული - 5 ქულა;
- პრობლემა ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული, მაგრამ აკლია სიცხადე - 4 ქულა;
- პრობლემა ფორმულირებულია, მაგრამ ბოლომდე არაა გათვალისწინებული კონტექსტური ფაქტორები - 3 ქულა;
- პრობლემის არსი ზედაპირულად და უარგუმენტოდაა ჩამოყალიბებული - 2 ქულა;
- პრობლემა დასმულია არაკვალიფიციურად - 0 ქულა;

ბ) თემის სტრუქტურა:

- თემის სტრუქტურა მიზანთან ოპტიმალურადაა შეხამებული - 5 ქულა;
- სტრუქტურა სრულად ვერ პასუხობს თემის მიზნებს და ამოცანებს - 4 ქულა;
- სტრუქტურა მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს დასახულ მიზნებს - 3 ქულა;
- სტრუქტურაში არ ჩანს ლოგიკური თანამიმდევრობა - 2 ქულა;
- სტრუქტურა არ შეესაბამება ნაშრომის მიზანს და ამოცანებს - 0 ქულა;

გ) პრეზენტაციის ორგანიზება:

- ორგანიზაციული ნიმუში (განსაკუთრებული მისალმება და დასკვნა, თანდართული დოკუმენტები) არის აშკარა და ღია, პრეზენტაცია არის შეკრული - 5 ქულა;
- ორგანიზაციული ნიმუში (განსაკუთრებული მისალმება და დასკვნა, თანდართული დოკუმენტები) ცხადია და აშკარად შესამჩნევია პრეზენტაციისას - 4 ქულა;
- ორგანიზაციულ ნიმუშს (განსაკუთრებული მისალმება და დასკვნა, თანდართული დოკუმენტები) აკლია სიცხადე, თუმცა პრეზენტაციისას შესამჩნევია - 3 ქულა;

- ორგანიზაციული ნიმუში (განსაკუთრებული მისალმება და დასკვნა, თანდართული დოკუმენტები) დროდადრო შესამჩნევია პრეზენტაციისას - 2 ქულა;
- ორგანიზაციული ნიმუში (განსაკუთრებული მისალმება და დასკვნა, თანდართული დოკუმენტები) არ არის შესამჩნევი პრეზენტაციისას - 0 ქულა.

დ) მიწოდება:

- მიწოდების ტექნიკა (ჟესტიკულაცია, თვალებით კონტაქტი) ავსებს პრეზენტაციას, მოსაუბრე გულღია და დარწმუნებულია, საუბრობს ფაქტებზე და არგუმენტებზე დაყრდნობით, პერიოდულად იყენებს წინასწარ მომზადებულ მოკლე ჩანაწერებს - 5 ქულა;
- მიწოდების ტექნიკა (ჟესტიკულაცია, თვალებით კონტაქტი) პრეზენტაციას საინტერესოდ წარმოაჩენს, მომხსენებელი კომფორტულადაა - 4 ქულა;
- მიწოდების ტექნიკა (ჟესტიკულაცია, თვალებით კონტაქტი) წარმოაჩენს პრეზენტაციას გასაგებად წარმოაჩენს, მომხსენებელი არ იქცევა უხერხულად - 3 ქულა;
- მიწოდების ტექნიკა (ჟესტიკულაცია, თვალებით კონტაქტი) შორსაა პრეზენტაციისაგან, მომხსენებელი თავს არ გრძნობს კომფორტულად - 2 ქულა;
- მიწოდების ტექნიკა (ჟესტიკულაცია, თვალებით კონტაქტი) საერთოდ არ შეინიშნება პრეზენტაციისას, მომხსენებელი თვალს ვერ აცილებს ჩანაწერებს - 0 ქულა;

ე) დასკვნები და შედეგები:

- დასკვნები ლოგიკურია, ასახავს დოქტორანტობის კანდიდატის ინფორმირებულობის მაღალ დონეს და პრიორიტეტების გამოყოფის უნარს - 5 ქულა;
- დასკვნები არაა ლოგიკური, ნათლად არაა წარმოდგენილი განსხვავებული და მსგავსი მოსაზრებების პოზიციები - 4 ქულა;
- დასკვნა ლოგიკურად არაა დაკავშირებული შედეგებთან - 3 ქულა;
- დასკვნა არ წარმოადგენს თემის ლოგიკურ გაგრძელებას - 2 ქულა;
- დასკვნა შეუთავსებელია წარმოდგენილ თემასთან - 0 ქულა.

13.10. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრებს უფლება აქვთ, მოხსენების მოსმენის შემდეგ შეკითხვები დაუსვან დოქტორანტობის კანდიდატს მოხსენების ირგვლივ. დოქტორანტობის კანდიდატი ვალდებულია, უპასუხოს შეკითხვებს.

13.11. დოქტორანტობის კანდიდატის მოხსენების შესაფასებლად ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თითოეული წევრი აჯამებს დოქტორანტობის კანდიდატისათვის ამ თავის 13.9 პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად მინიჭებულ ქულებს. შეფასების ყველა ქულა საბჭოს წევრს შეაქვს შეფასების ბიულეტენში, რომელსაც შევსებისთანავე გადასცემს საბჭოს თავმჯდომარეს.

13.12. უწყისში აღრიცხული და გასაუბრებაზე გამოცხადებული ყველა დოქტორანტობის კანდიდატთან გასაუბრების შემდეგ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, შეფასების ბიულეტენების საფუძველზე, გამოთვლის დოქტორანტობის თითოეული კანდიდატის შეფასების ქულას, რისთვისაც აჯამებს მისთვის ბიულეტენებით მინიჭებულ ქულებს, ჯამს ყოფს ბიულეტენების რაოდენობაზე და მიღებულ შედეგს ამრგვალებს არითმეტიკული წესით უახლოეს მთელ რიცხვამდე. შეფასების ქულა სადისერტაციო საბჭოს შეაქვს დოქტორანტობის კანდიდატის გასაუბრებით შეფასების უწყისში. ბიულეტენები შეფასების უწყისის შემადგენელი ნაწილებია.

13.12. შეფასების შედეგები ცხადდება უწყისის შევსებისთანავე. შეფასების შედეგების გამოცხადების შემდეგ შეფასების შევსებული უწყისი და ბიულეტენები ბარდება ფაკულტეტის დეკანის ოფისის დოქტორანტურის პროგრამების მენეჯერს.

13.13. დოქტორანტობის კანდიდატი დადებითად შეფასებულად ჩაითვლება და დაშვებულ იქნება სადოქტორო ან გერმანული, ინგლისური ან ფრანგული ენის გამოცდაზე, თუ მისი შეფასების ქულა 15 ან მეტი იქნება.

1.14. თუ დოქტორანტობის კანდიდატი არ გამოცხადდება გასაუბრებაზე ფაკულტეტის დეკანის ამ თავის 13.1 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით განსაზღვრულ დროს და ადგილზე ან გასაუბრების შედეგად არ იქნება დადებითად შეფასებული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ, იგი არ დაიშვება გერმანული/ინგლისური/ფრანგული ენის ან/და სადოქტორო გამოცდაზე.

13.15. თუ დოქტორანტობის კანდიდატმა უნდა ჩააბაროს გამოცდა გერმანულ, ინგლისურ ან ფრანგულ ენაში ამ ინსტრუქციის 7.9 პუნქტის პირობით, იგი ვალდებულია, გამოცხადდეს გამოცდაზე ფაკულტეტის დეკანის 13.1 პუნქტით გათვალისწინებულ ბრძანებაში მითითებულ დროს და ადგილზე და წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

13.16. გერმანული/ინგლისური/ფრანგული ენის გამოცდის მიმდინარეობისას საგამოცდო აუდიტორიაში ყოფნის უფლება, დოქტორანტობის გამოსაცდელი

კანდიდატების გარდა, აქვთ მხოლოდ გამოცდის პროცესის ადმინისტრატორსა და მის თანაშემწეებს, რომელთა ვინაობა განისაზღვრება ფაკულტეტის დეკანის ამ ინსტრუქციის 7.12 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით.

13.17. გამოცდა ტარდება ამ ინსტრუქციის 12.5-12.8 პუნქტებით განსაზღვრული წესებით.

13.18. დოქტორანტობის კანდიდატების ნაშრომებს გამოცდის მომდევნო სამუშაო დღეს აფასებენ გერმანული/ინგლისური/ფრანგული ენის გამოცდის საგამოცდო ნაშრომების შემფასებლები 7.6 პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუქციის შესაბამისად.

13.19. საგამოცდო ნაშრომებს შემფასებლებს შორის ანაწილებს ფაკულტეტის დეკანი.

13.20. შემფასებლებს საგამოცდო ნაშრომების შეფასების შედეგები შეაქვთ გერმანული/ინგლისური/ფრანგული ენის გამოცდის ნაშრომების შეფასების უწყისში, რომელსაც ამზადებს ფაკულტეტის დეკანის ოფისი გამოცდის წინა დღეს.

13.21. გერმანული/ინგლისური/ფრანგული ენის გამოცდის ნაშრომების შეფასების უწყისის ფორმასა და მისი შევსების წესს ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. ბრძანების პროექტს ამზადებს ფაკულტეტის დეკანის ოფისი.

13.22. შეფასებული საგამოცდო ნაშრომები და შევსებული უწყისი ბარდება ფაკულტეტის დეკანს, რომელიც უწყისის ქსეროასლს დაუყოვნებლივ გადასცემს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური უწყისის ქსეროასლის მიღებისთანავე აქვეყნებს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ინფორმაციას გერმანული/ინგლისური/ფრანგული ენის გამოცდაზე დოქტორანტობის კანდიდატების შეფასებათა შესახებ. ინფორმაციაში მიეთითება მხოლოდ დოქტორანტობის კანდიდატის პირადი ნომერი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით და შეფასების ქულა.

13.23. დოქტორანტობის კანდიდატის საგამოცდო ნაშრომი გერმანულ/ინგლისურ/ ფრანგულ ენაში დადებითად შეფასებულად ჩაითვლება, თუ ნაშრომის შეფასების ქულა შეფასების უდიდესი შესაძლებელი ქულის 60% ან მეტია.

12.24. თუ დოქტორანტობის კანდიდატი არ გამოცხადდება გერმანული/ ინგლისური/ფრანგული ენის გამოცდაზე ფაკულტეტის დეკანის ამ ინსტრუქციის 13.1 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით განსაზღვრულ დროს და ადგილზე ან

საგამოცდო ნაშრომი არ იქნება დადებითად შეფასებული, იგი არ დაიშვება სადოქტორო გამოცდაზე და არ ჩაირიცხება უნივერსიტეტში.

13.25. სადოქტორო გამოცდაზე დაშვებული იქნებიან დოქტორანტობის ის კანდიდატები, რომელთა საგამოცდო ნაშრომები გერმანულ/ინგლისურ/ფრანგულ ენაში დადებითად შეფასდა.

13.26. სადოქტორო გამოცდა ტარდება უნივერსიტეტის შენობაში, ფაკულტეტის დეკანის ამ თავის 13.1 პუნქტით გათვალისწინებულ ბრძანებაში მითითებულ დროსა და აუდიტორიაში.

13.27. სადოქტორო გამოცდა ტარდება ამ თავის 13.15-13.17 პუნქტებით განსაზღვრული წესებით.

13.28. სადოქტორო გამოცდის საგამოცდო ნაშრომები ფასდება და შედეგები ქვეყნდება ამ თავის 13.18-13.22 პუნქტებით დადგენილი წესებით.

13.29. დოქტორანტობის კანდიდატს უფლება აქვს, მიიღოს თავისი შეფასებული ნაშრომის ქსეროასლი და გააპროტესტოს შეფასება საგამოცდო ნაშრომების შეფასებების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მომდევნო 3 დღის ვადაში. ამისათვის მან წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს. წერილობით განცხადებაში ზუსტად უნდა იყოს მითითებული, კონკრეტულად რა და რატომ პროტესტდება. ამის გარეშე საგამოცდო ნაშრომი თავიდან არ შეფასდება.

13.40. გაპროტესტებულ საგამოცდო ნაშრომებს თავიდან აფასებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო 13.29 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის მომდევნო სამუშაო დღეს.

13.41. სადოქტორო გამოცდის საგამოცდო ნაშრომის შეფასება სადისერტაციო საბჭოს შეაქვს სადოქტორო გამოცდის გაპროტესტებული ნაშრომების შეფასების უწყისში, რომელსაც, შეფასებულ ნაშრომებთან ერთად აბარებს ფაკულტეტის დეკანს.

13.42. სადოქტორო გამოცდის გაპროტესტებული საგამოცდო ნაშრომების შეფასების უწყისისა და ბიულეტენის ფორმას და მათი შევსების წესს ბრძანებით ამტკიცებს რექტორი. ბრძანების პროექტს ამზადებს ფაკულტეტის დეკანის ოფისი.

13.43. ინფორმაცია საპრეტენზიო საბჭოს მიერ სადოქტორო გამოცდის გაპროტესტებული საგამოცდო ნაშრომების შეფასების შესახებ დაუყოვნებლივ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ამ ინსტრუქციის 12.13 პუნქტით განსაზღვრული წესით.

13.44. სადისერტაციო საბჭოს შეფასება საბოლოოა.

13.45. ფაკულტეტის დეკანის ოფისი, სადოქტორო გამოცდის საგამოცდო ნაშრომების შეფასების უწყისის ან, თუ ასეთი არსებობს, სადოქტორო გამოცდის გაპროტესტებული საგამოცდო ნაშრომების შეფასების უწყისის შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნების მომდევნო სამუშაო დღეს ამზადებს სადოქტორო გამოცდების რანჟირების დოკუმენტების პროექტებს, ცალ-ცალკე დოქტორანტურის თითოეული პროგრამისათვის.

13.46. სადოქტორო გამოცდების რანჟირების დოკუმენტში მოხვდება დოქტორანტობის მხოლოდ ის კანდიდატი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა სადოქტორო გამოცდა - მისი საგამოცდო ნაშრომის შეფასებამ გადააჭარბა შეფასების უდიდესი შესაძლებელი ქულის 60%-ს.

13.47. სადოქტორო გამოცდით რანჟირების დოკუმენტები (პროექტები) დგება დოქტორანტობის კანდიდატების სადოქტორო გამოცდების საგამოცდო ნაშრომების შეფასების ქულების საფუძველზე, დოქტორანტურის შესაბამის პროგრამებზე დოქტორანტობის კანდიდატთა გამოცხადებული მისაღები ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით.

13.48. სადოქტორო გამოცდის რანჟირების დოკუმენტში პირველ ნომრად იწერება დოქტორანტობის ის კანდიდატი, რომლის საგამოცდო ნაშრომის შეფასების ქულა სხვებზე მეტია, ბოლო ნომრად - ის, რომლის საგამოცდო ნაშრომის შეფასების ქულაც სხვებზე ნაკლებია. თუ რამოდენიმე კანდიდატის საგამოცდო ნაშრომების შეფასების ქულები ერთნაირია, მაგისტრანტობის კანდიდატები დოკუმენტში ლაგდებიან ანბანური თანმიმდევრობით, გვარის მიხედვით.

13.49. სადოქტორო გამოცდების რანჟირების დოკუმენტები მტკიცდება რექტორის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა მისთვის დოკუმენტების პროექტის წარდგენის ან მომდევნო დღეს. ბრძანების პროექტს ადგენს ფაკულტეტის დეკანი და წარუდგენს რექტორს სადოქტორო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტების პროექტებთან ერთად.

13.50. სადოქტორო გამოცდების რანჟირების დოკუმენტები, რომელსაც ხელს აწერენ უნივერსიტეტის რექტორი და ფაკულტეტის დეკანი, არის რექტორის ამ თავის 13.49 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების დანართები.

12.51. რექტორის ამ თავის 12.49 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების დამოწმებულ ასლს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური, ბრძანების გამოცემის დღესვე, გადასცემს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს,

რომელიც დაუყოვნებლივ აქვეყნებს მას (დანართების გარეშე) უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

13.52. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელიც ირიცხება სადოქტორო გამოცდის რანჟირების გამოქვეყნებულ დოკუმენტში, თუ სურს, ჩაირიცხოს უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტად, ვალდებულია, დოკუმენტის გამოქვეყნების მომდევნო 5 დღის ვადაში გამოცხადდეს ფაკულტეტის დეკანის ოფისში უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამით სწავლება-სწავლის ხელშეკრულების გასაფორმებლად.

13.53. ამ თავის 13.52 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დოქტორანტობის კანდიდატი ამოღებულ იქნება სადოქტორო გამოცდის რანჟირების დოკუმენტიდან და დაკარგავს უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტად ჩარიცხვის უფლებას. ფაკულტეტის დეკანის ოფისი ვალდებულია, რექტორის 13.49 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოქვეყნების დღესვე პირადად, ტელეფონით გააფრთხილოს ამის შესახებ დოქტორანტობის კანდიდატები, რომლებიც ირიცხებიან რანჟირების დოკუმენტებში.

13.54. უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამებით სწავლება-სწავლის ხელშეკრულებები დოქტორანტობის კანდიდატებთან, რომლებიც შეასრულებენ ამ თავის 13.53 პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, ფორმდება დოქტორანტობის კანდიდატის ფაკულტეტის დეკანის ოფისში გამოცხადებისთანავე. ხელშეკრულება ფორმდება 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთს საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელი პირი გადასცემს დოქტორანტობის კანდიდატს, ხოლო მეორეს იტოვებს სტუდენტის პირად საქმეში შესანახად. ხელშეკრულების პროექტს ამზადებს საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელი პირი.

13.55. ამ თავის 13.49 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში რექტორი გამოსცემს ბრძანებას უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამების სტუდენტებად დოქტორანტობის იმ კანდიდატთა ჩარიცხვის შესახებ, რომლებთანაც გაფორმდა სწავლება-სწავლის ხელშეკრულებები. ბრძანების პროექტს ამზადებს ფაკულტეტის დეკანის ოფისი. ბრძანებაში მიეთითება დოქტორანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც დოქტორანტმა მოიპოვა სწავლის უფლება.

13.56. უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამების სტუდენტებად მიიღებიან დოქტორანტობის კანდიდატები ამ ინსტრუქციის 7.8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით

განსაზღვრული რაოდენობის ფარგლებში - სადოქტორო გამოცდების რანჟირების დოკუმენტში პირველ ნომრად ჩაწერილი და მისი მომდევნოები თანმიმდევრობით.

13.57. თუ დოქტორანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის პროცესში აღმოჩნდება, რომ ბოლო ადგილზე ჩარიცხვის თანაბარი უფლება აქვს დოქტორანტობის 2 ან მეტ კანდიდატს, რექტორი იღებს გადაწყვეტილებას მისაღებ სტუდენთა ადგილების მთლიანი რაოდენობის ფარგლებში დოქტორანტურის ამ საგანმანათლებლო პროგრამისთვის ადგილების დამატების თაობაზე.

13.58. იმ შემთხვევაში, თუ ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს უნივერსიტეტში მიმდინარე წელს მისაღები სტუდენტების მთლიან რაოდენობას, დამატებული სტუდენტების რაოდენობა მოაკლდება უნივერსიტეტში მომდევნო აკადემიურ წელს მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტს.

13.59. ამ თავის 13.57 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება აისახება რექტორის 13.55 პუნქტით გათვალისწინებულ ბრძანებაში.

13.60. რექტორის ამ თავის 13.55 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების თითო დამოწმებულ ასლს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური, ბრძანების გამოცემის დღესვე, გადასცემს ფაკულტეტის დეკანის ოფისს, სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურებს. სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურს იმავე დღეს შესაბამისი ჩანაწერები შეაქვს სტუდენტთა ელექტრონულ რეესტრსა - "Unik follow" და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში, ხოლო საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური აქვეყნებს ბრძანებას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

13.61. უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამების სტუდენტებად რექტორის ამ თავის 13.55 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით ჩარიცხული დოქტორანტები დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლას იწყებენ ბრძანების გამოცემის აკადემიური წლიდან, დოქტორანტურის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების პირველი სემესტრიდან.

13.62. საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტი ამ დაწესებულებაში დოქტორანტურის პროგრამით, სულ ცოტა, ერთწლიანი სწავლის შემდეგ ან პირი, რომელიც სწავლობდა საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის პროგრამით, შეჩერებული აქვს მაგრამ არ აქვს შეწყვეტილი სტუდენტის სტატუსი,

საქართველოს კანონმდებლობით აქვს მობილობის უფლება და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასრულებდა დისერტაციას თემაზე, რომელიც შეესაბამება უნივერსიტეტის დოქტორანტურის რომელიმე პროგრამას, უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტად მიიღება რექტორის ბრძანებით, თუ იგი ირიცხება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნებულ იმ პირთა ერთიან სიაში, რომლებმაც გამოხატეს სურვილი უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამით სწავლაზე და წარმოდგენილი აქვს ამ ინსტრუქციის 9.1 და 9.7 პუნქტებით გათვალისწინებული საბუთები 9.11 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.

13.63. თუ ამ თავის 13.62 პუნქტის პირობით უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებად ჩარიცხვის (მობილობის) მსურველთა განაცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის პრეტენდენტები შემდეგი პრიორიტეტულობით:

ა) ისინი, ვისაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი;

ბ) ისინი, რომელთა მიღწევების შეფასების კუმულატიური შეწონილი ქულა (GPA), გამოთვლილი მაგისტრის/მასთან გათანაბრებული დიპლომის დანართის მიხედვით, აღემატება სხვებისას (GPA გამოთვლის ფაკულტეტის დეკანის ოფისი უნივერსიტეტის დებულებით დადგენილი წესით).

13.64. თუ ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულია 2 ან მეტი პირი, რექტორი, ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანხმობით, იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტურის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისათვის ადგილის/ადგილების დამატების თაობაზე.

13.65. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტში არ არსებობს ვაკანტური ადგილი სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში, რექტორი, სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, დაუყოვნებლივ მიმართავს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომელიც დაუმატებს უნივერსიტეტს დოქტორანტთა მისაღებ ადგილებს იმ რაოდენობით, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული, მობილობის თანაბარქულიანი მსურველების ჩასარიცხად. ამ შემთხვევაში დამატებული ადგილების

რაოდენობა გამოაკლდება უნივერსიტეტში მომდევნო აკადემიურ წელს მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას.

13.66. ფაკულტეტის დეკანი და სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურის უფროსი ამ თავის 13.64 და 13.65 პუნქტებით გათვალისწინებულ მოხსენებით ბარათებს რექტორს წარუდგენენ ინსტრუქციის 9.11 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

13.67. უნივერსიტეტის სტუდენტებად ამ თავის 13.63 პუნქტით გათვალისწინებულ პირთა მიღებაზე რექტორის ბრძანების გამოცემამდე პროგრამის კომიტეტი , ამ ინსტრუქციის 9.11 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან 5 დღის ვადაში, რექტორის დავალებით, ადგენს პირის მიერ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის პროგრამის ფარგლებში სწავლისა და კვლევის უკვე მიღწეული შედეგების თავსებადობას უნივერსიტეტის დოქტორანტურის შესაბამის პროგრამასთან.

13.67. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლის და კვლევის მიღწეული შედეგების თავსებადობას უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამასთან პროგრამის კომიტეტი ადგენს ამ ინსტრუქციის XIII თავით დადგენილი წესებით.

13.68. აღიარებას ინსტრუქციის XIII თავით გათვალისწინებული წესებით ექვემდებარება მხოლოდ იმ სასწავლო კომპონენტების სწავლით მოპოვებული კრედიტები და შეფასებები, რომლებიც ამ თავის 13.63 პუნქტით გათვალისწინებულმა პირმა ისწავლა/გაიარა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დოქტორანტურის პროგრამით სწავლისას.

13.69. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლისას შესრულებული კვლევითი სამუშაოებიდან აღიარებას ექვემდებარება მხოლოდ დისერტაციის თემის ან მისი ცალკე ნაწილის გარშემო ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი აქტების შესაბამისად მომზადებული და პრეზენტირებული მასალები და დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები. თავსებადობა დგინდება ამ ინსტრუქციის XIII თავით დადგენილი წესით.

13.70. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ნასწავლი/გავლილი, აღიარებული სასწავლო კომპონენტების, შესაბამისი კრედიტებისა და შეფასებების, უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამით გათვალისწინებული, მომავალში

სასწავლი/გასავლელი სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისა და შესაბამისი ასათვისებელი კრედიტების ანალიზის საფუძველზე დოქტორანტურის პროგრამის კომიტეტი , ამ თავის 13.67 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 3 დღის ვადაში, ამზადებს დასკვნას იმის თაობაზე, უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამით სწავლების რომელი სემესტრიდან უნდა გააგრძელოს სწავლა ამ თავის 13.63 პუნქტით გათვალისწინებულმა პირმა.

13.71. გადაწყვეტილებას პირის მიერ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უკვე მიღწეული შედეგების თავსებადობაზე უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამასთან და ამ თავის 13.70 პუნქტით გათვალისწინებულ დასკვნას დოქტორანტურის პროგრამის კომიტეტი აფორმებს სხდომის ოქმის სახით. ოქმში გადაწყვეტილება და დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს XIII თავის დებულებათა მიხედვით. ოქმს ხელს აწერს პროგრამის კომიტეტის ყველა წევრი, რომელიც ესწრებოდა კომიტეტის სხდომას .

13.72. ფაკულტეტის დეკანის ოფისი პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმის გაფორმების მომდევნო სამუშაო დღეს ამზადებს რექტორის ბრძანების პროექტს უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამების სტუდენტებად ამ თავის 13.63 პუნქტით გათვალისწინებულ პირთა მიღებაზე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მათი სწავლის შედეგების აღიარებისა და იმ სემესტრების მითითებით, რომლებიდანაც თითოეული მათგანი გააგრძელებს სწავლას უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამით.

13.74. რექტორის ბრძანება ამ თავის 13.63 პუნქტით გათვალისწინებულ პირთა დოქტორანტურის პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ მზადდება, თანხმდება, გამოიცემა, ქვეყნდება და იგზავნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში .

13.75. პირი, რომელიც უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტად ჩაირიცხა რექტორის ამ თავის 13.74 პუნქტით გათვალისწინებულ ბრძანებით, ვალდებულია, ბრძანების გამოცემის მომდევნო 5 დღის ვადაში გამოცხადდეს ფაკულტეტის დეკანის ოფისში უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამით სწავლება-სწავლის ხელშეკრულების გასაფორმებლად.

13.76. ამ თავის 13.75 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა არის საფუძველი რექტორის ბრძანების გაუქმებისა პირის უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტად მიღებაზე. ფაკულტეტის

დეკანის ოფისი ვალდებულია, რექტორის 13.74 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოქვეყნების დღესვე პირადად, ტელეფონით გააფრთხილოს ამის შესახებ პირი, რომელიც ამ ბრძანებით უნდა ჩაირიცხოს უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტად.

13.77. უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამებით სწავლება-სწავლის ხელშეკრულებაპირთან, რომელიც შეასრულებს ამ თავის 13.75 პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, ფორმდება მისი ფაკულტეტის დეკანის ოფისში გამოცხადებისთანავე. ხელშეკრულება ფორმდება 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთს საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელი პირი გადასცემს დოქტორანტს, ხოლო მეორეს იტოვებს მის პირად საქმეში შესანახად. ხელშეკრულების პროექტს ამზადებს საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელი პირი.

13.78. უნივერსიტეტის სტუდენტად რექტორის ამ თავის 13.74 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით ჩარიცხული დოქტორანტი ვალდებულია, ბრძანების გამოცემიდან 20 დღის ვადაში ფაკულტეტის დეკანის ოფისში წარმოადგინოს იმ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანების ამონაწერი მისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტაზე, სადაც იგი სწავლობდა უნივერსიტეტში ჩარიცხვამდე და იმავე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მის პირად საქმეში დაცული ყველა საბუთის დედანი. ამ ვალდებულების დროულად შეუსრულებლობა საფუძველია მისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა.

13.79. პირი (გარდა ერთობლივი პროგრამის მონაწილე სტუდენტისა), რომელიც სწავლობს ან სწავლობდა უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურაში (აკადემიური უმაღლესი განათლების მე-3 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით), იქ მიღებული აქვს კრედიტები, ასრულებდა დისერტაციას თემაზე, რომელიც შეესაბამება უნივერსიტეტის დოქტორანტურის რომელიმე საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოდგენილი აქვს ამ ინსტრუქციის 9.1 და 9.6 პუნქტებით გათვალისწინებული საბუთები, უნივერსიტეტში დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით სასწავლებლად მიიღება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, თუ საბუთების წარმოდგენის დღისათვის უნივერსიტეტში არსებობს დოქტორანტთა ვაკანსია რექტორის ამ ინსტრუქციის 7.8 პუნქტით გათვალისწინებულ ბრძანებაში მითითებულ, დოქტორანტურის პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის ფარგლებში.

13.80. უნივერსიტეტის დოქტორანტად ამ თავის 13.79 პუნქტით გათვალისწინებული პირის მიღებაზე რექტორის ბრძანების გამოცემამდე დოქტორანტურის პროგრამის კომიტეტი , რექტორის დავალებით, ადგენს პირის მიერ უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა და კვლევის უკვე მიღწეული შედეგების თავსებადობას მის მიერ საბუთების წარმოდგენიდან 5 დღის ვადაში.

13.81. უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლის მიღწეული შედეგების თავსებადობას უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამასთან ფაკულტეტის პროგრამის კომიტეტი ადგენს ამ ინსტრუქციის 9.6 პუნქტით გათვალისწინებული საბუთების მიხედვით.

13.83. უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესრულებული კვლევითი სამუშაოების თავსებადობას უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამასთან პროგრამის კომიტეტი ადგენს ამ ინსტრუქციის XIII თავით დადგენილი წესით.

13.84. პროგრამის კომიტეტი დასკვნას იმის თაობაზე, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების რომელი სემესტრიდან უნდა გააგრძელოს სწავლა ამ თავის 12.79 პუნქტით განსაზღვრულმა პირმა, ამზადებს 13.80 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 3 დღის ვადაში. დასკვნის მომზადებისას პროგრამის კომიტეტი ხელმძღვანელობს ამ თავის 13.70 პუნქტის დებულებით.

13.85. გადაწყვეტილებას პირის უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უკვე მიღწეული შედეგების თავსებადობაზე უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამასთან და ამ თავის 13.84 პუნქტით გათვალისწინებულ დასკვნას პროგრამი კომიტეტი აფორმებს სხდომის ოქმის სახით. ოქმში გადაწყვეტილება და დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს XIII თავის დებულებათა მიხედვით. ოქმს ხელს აწერს პროგრამის კომიტეტის ყველა წევრი, რომელიც მონაწილეობდა სხდომის მუშაობაში.

13.86. ფაკულტეტის დეკანის ოფისი პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმის გაფორმების მომდევნო სამუშაო დღეს ამზადებს რექტორის ბრძანების პროექტს უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამების სტუდენტად ამ თავის 13.79 პუნქტით

გათვალისწინებული პირის მიღებაზე უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მისი სწავლის შედეგების აღიარებისა და იმ სემესტრის მითითებით, რომლიდანაც იგი გააგრძელებს სწავლას უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამით.

13.87. რექტორის ბრძანება ამ თავის 13.79 პუნქტით გათვალისწინებული პირის დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტად ჩარიცხვის შესახებ მზადდება, თანხმდება, გამოიცემა და ქვეყნდება ამ ინსტრუქციის 11.26-11.32 პუნქტებით გათვალისწინებული წესებითა და პროცედურებით.

13.88. სწავლება-სწავლის ხელშეკრულება უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტად რექტორის 13.87 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით ჩარიცხულ პირთან ფორმდება ბრძანების გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, ამ თავის 13.75-13.77 პუნქტებით დადგენილი წესების დაცვით.

თავი XIV. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღწეული სწავლის შედეგების უნივერსიტეტის პროგრამასთან თავსებადობის დადგენის წესი

14.1. პირის მიერ საქართველოს ან უცხო ქვეყნის სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისას მიღწეული შედეგების უნივერსიტეტის პროგრამასთან თავსებადობის დასადგენად უნივერსიტეტი აღიარებს ან არ აღიარებს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ნასწავლი/გავლილი კომპონენტების, მათი სწავლით მიღწეული შედეგების - შეფასების ქულებისა და მოპოვებული კრედიტების შესაბამისობას უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების იმ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და მისაღწევ შედეგებთან, რომელზე სწავლის გაგრძელებასაც აპირებს პირი.

14.2. ამ თავის 14.1 პუნქტით გათვალისწინებულ თავსებადობას აკადემიური უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურის და დოქტორანტურის პროგრამებთან ადგენს შესაბამისი პროგრამის კომიტეტი.

14.3. საქართველოს ან უცხო ქვეყნის სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისას მიღწეული შედეგების უნივერსიტეტის პროგრამასთან თავსებადობის დასადგენად პროგრამის კომიტეტი აღიარებს ან არ აღიარებს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური უმაღლესი განათლების

შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში სტუდენტისათვის მინიჭებულ კრედიტებს შემდეგი წესით:

ა) თუ სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისას გავლილი სასწავლო კომპონენტის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა უნივერსიტეტის პროგრამის სასწავლო კომპონენტების დასახელებას და კრედიტების რაოდენობას, ასეთი სასწავლო კომპონენტი და შესაბამისი კრედიტები აღიარებულ უნდა იქნეს;

ბ) თუ სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისას გავლილი სასწავლო კომპონენტის დასახელება ემთხვევა უნივერსიტეტის პროგრამის სასწავლო კომპონენტების დასახელებას, ხოლო კრედიტების რაოდენობა აღემატება ამ სასწავლო კომპონენტისათვის უნივერსიტეტის პროგრამის შესაბამისი კომპონენტის სილაბუსით განსაზღვრულ კრედიტების რაოდენობას, აღიარებულ უნდა იქნეს კრედიტები უნივერსიტეტის პროგრამის კომპონენტის სილაბუსით განსაზღვრული რაოდენობით;

გ) თუ შინაარსობრივი შესწავლის შედეგად დადგინდა სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისას გავლილი და უნივერსიტეტის პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების შესაბამისობა მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად, აღიარებულ უნდა იქნეს კრედიტები ამ კომპონენტისათვის უნივერსიტეტის პროგრამის კომპონენტის სილაბუსით განსაზღვრული რაოდენობით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არაა მეტი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისას სტუდენტის მიერ ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომპონენტის სწავლით მოპოვებულ კრედიტებზე;

დ) თუ შინაარსობრივი შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისას გავლილი რამდენიმე მცირეკრედიტიანი კომპონენტის ერთობლიობა წარმოადგენს უნივერსიტეტის პროგრამით გათვალისწინებული რომელიმე უფრო დიდი მოცულობის კომპონენტს, აღიარებულ უნდა იქნეს ამ კომპონენტის სილაბუსით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არაა მეტი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისას სტუდენტის მიერ ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომპონენტების სწავლით მოპოვებული კრედიტების ჯამზე;

ე) თუ შინაარსობრივი შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისას გავლილი რომელიმე

კომპონენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის პროგრამით გათვალისწინებული რამდენიმე კომპონენტის ერთობლიობას, აღიარებულ უნდა იქნეს ამ კომპონენტებისათვის უნივერსიტეტის პროგრამის კომპონენტების სილაბუსებით განსაზღვრული კრედიტების ჯამი;

ვ) თუ სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისას გავლილია არჩევითი სასწავლო კომპონენტი, რომელიც არაა გათვალისწინებული უნივერსიტეტის პროგრამით, აღიარებულ უნდა იქნეს ეს კომპონენტი და მისი სწავლით სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის მიერ მოპოვებული კრედიტები უნივერსიტეტის თავისუფალი კომპონენტების ბლოკის არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში;

ზ) თუ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი არჩევითი სასწავლო კომპონენტებისათვის მინიჭებული, ასაღიარებელი კრედიტების რაოდენობა მეტია უნივერსიტეტის პროგრამით თავისუფალი კომპონენტების ბლოკის არჩევითი სასწავლო კურსებისათვის დადგენილი კრედიტების ჯამზე, აღიარებულ უნდა იქნეს ის კომპონენტები და მათი შესაბამისი კრედიტები, რომლებშიც სტუდენტს უფრო მაღალი შეფასებები აქვს მიღებული ისე, რომ აღიარებული კრედიტების ჯამმა არ გადააჭარბოს უნივერსიტეტის პროგრამით თავისუფალი კომპონენტების ბლოკის არჩევითი სასწავლო კურსებისათვის დადგენილი კრედიტების ჯამს; დანარჩენი კომპონენტები და შესაბამისი კრედიტები, კომპონენტების შინაარსის გათვალისწინებით, სტუდენტის თანხმობის შემთხვევაში, შეიძლება აღიარებულ იქნეს დამატებითი (minor) სპეციალობის ბლოკის ფარგლებში.

14.4. თუ იმ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც სწავლობდა ამ თავის 14.1 პუნქტით განსაზღვრული პირი, არ არსებობს/არსებობდა სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგად სტუდენტისათვის კრედიტების მინიჭების სისტემა, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კომპონენტისათვის მისანიჭებელი პირობითი კრედიტები გამოითვლება შემდეგი სქემით:

ა) თითოეული სასწავლო კომპონენტის საკონტაქტო საათების ჯამი, ამ ინსტრუქციის 9.7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის მიხედვით, მრავლდება პროგრამის კომიტეტის მიერ განსაზღვრულ კოეფიციენტზე, რომელიც, კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით, მეტია 1-ზე და ნაკლები 2-ზე და მიღებულ რიცხვს ემატება დამოუკიდებელი მუშაობის საათების ჯამი;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით გამოთვლილი რიცხვი იყოფა 25-ზე და მიღებული შედეგი მრგვალდება მეტობით უახლოეს მთელ რიცხვამდე;

გ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კომპონენტი და მისი სწავლის შედეგად სტუდენტისათვის მინიჭებული პირობითი კრედიტები აღიარებულ უნდა იქნეს, თუ ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გამოთვლილი რიცხვი არაა ნაკლები შესაბამისი კომპონენტის სწავლისათვის უნივერსიტეტის პროგრამის სილაბუსით დადგენილ კრედიტებზე.

14.5. თუ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტის სასწავლო დატვირთვის შესაფასებლად იყენებს კრედიტების მინიჭების სისტემას, განსხვავებულს ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემისაგან (ECTS), ასაღიარებელი კრედიტები გამოითვლება ამ ინსტრუქციის 9.7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტში მითითებული წესით.

14.6. იმ სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგებს, რომელთა კრედიტები აღიარებულ იქნა ამ თავის 9.32-9.34 პუნქტების მიხედვით, პროგრამის კომიტეტი აფასებს შემდეგი წესით:

ა) თუ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი ერთი სასწავლო კომპონენტი აღიარებულია უნივერსიტეტის პროგრამის ერთ კომპონენტად, ამ კომპონენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება იქნება ის, რაც სტუდენტმა მიიღო სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ბ) თუ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი რამოდენიმე სასწავლო კომპონენტის ერთობლიობა აღიარებულია უნივერსიტეტის პროგრამის ერთ კომპონენტად, ამ კომპონენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება იქნება სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო კომპონენტებში სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკული, დამრგვალებული მთელ რიცხვამდე არითმეტიკული წესით;

გ) თუ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი რომელიმე კომპონენტი აღიარებულია უნივერსიტეტის პროგრამით გათვალისწინებული რამდენიმე კომპონენტის ერთობლიობად, უნივერსიტეტის პროგრამის თითოეული კომპონენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება იქნება სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აღნიშნულ კომპონენტში სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება.

14.7. თუ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის შედეგები შეფასებულია 100 ქულიანისაგან განსხვავებული სისტემით, სწავლის შედეგის შეფასება

100 ქულიანი სისტემით გამოითვლება ამ ინსტრუქციის 9.7 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტში მითითებული წესით, გარდა ამ თავის 14.8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

13.8. თუ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის სწავლის შედეგები შეფასებულია გამოცდების 5 ბალიანი ნიშნებისა და ჩათვლების სისტემით, სწავლის შედეგები 100 ქულიანი სისტემით გამოითვლება შემდეგი წესით:

ა) ნიშანი 5 (ფრიადი) 5 ბალიანი სისტემით უთანაბრდება 95 ქულას და შეფასების ნიშანს A (ფრიადი) 100 ქულიანი სისტემით;

ბ) ნიშანი 4 (კარგი) 5 ბალიანი სისტემით უთანაბრდება 85 ქულას და შეფასების ნიშანს B (ძალიან კარგი) 100 ქულიანი სისტემით;

გ) ნიშანი 3 (დამაკმაყოფილებელი) 5 ბალიანი სისტემით უთანაბრდება 75 ქულას და შეფასების ნიშანს C (კარგი) 100 ქულიანი სისტემით;

დ) ქულა და ნიშანი შეფასების 100 ქულიანი სისტემით, რომლებსაც შეესაბამება ნიშანი „დიფერენციალური ჩათვლა“ და „ჩათვლა“ ჩათვლების სისტემით, გამოითვლება შემდეგი წესით:

დ.ა) სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ამ პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნიშნებით შეფასებული ყველა კომპონენტის შეფასების ნიშნები 5 ბალიანი სისტემით იკრიბება, ჯამი იყოფა ამ წესით შეფასებული კომპონენტების რაოდენობაზე და მიღებული შედეგი, არითმეტიკული წესით, მრგვალდება უახლოეს მთელ რიცხვამდე;

დ.ბ) ქულა და ნიშანი, შეფასების 100 ქულიანი სისტემით, დგინდება ამ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტით გამოთვლილი რიცხვის მიხედვით, ამავე პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით დადგენილი წესით.

14.9. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევითი საქმიანობის თავსებადობას უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამასთან დოქტორანტურის პროგრამის კომიტეტი ადგენს შემდეგი წესით:

ა) კოლოქვიუმის ნაშრომად ჩაითვლება დოქტორანტის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დისერტაციის თემის ან მისი ცალკე ნაწილის გარშემო სათანადოდ მომზადებული და პრეზენტირებული მასალა, რაც დადასტურებულია ამ დაწესებულების სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული კოლეგიური ორგანოს მიერ;

ბ) დოქტორანტის მიერ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლისას გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია აღიარებულ იქნება, თუ იგი აკმაყოფილებს უნივერსიტეტის დებულების დისერტაციის მზადების პროცესში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიებისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.